# საარჩიელო

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 29 იანვარი 2004 №18 (2037) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამისულაშვილი კიეველია







...ყველაფერი ძალიან სწრაფად და შინაურ, საკლუბო ვითარებაში მოხდა. ხელის მოწერას ჩემ გარდა მამაჩემი, ჩემი მენეჯერი და იგორ სურკისი ესწრებოდნენ. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და საუკეთესო სურვილებით დავშორდით.

...ძალიან მიხარია, რომ კიევშიც 24 ნომრით ვითამაშებ. ეს ნომერი ბედნიერად მაქვს დაცდილი, მთლად ახალგაზრდა „დინამოს“ ძირითადში მოვხვდი და ნაკრებში ვითამაშე.

ინტერვიუ ალეკო ამისულაშვილთან
იხილეთ მეორე გვერდზე

## დარასელია და შონია: თითქმის...



...ვიტალის საკმაოდ კარგი საკონტრაქტო პირობები შევთავაზეთ, არა გვგონია, უარი გვითხრას

ჩვეულებრივ, ასეა: ფეხბურთელები იმის მცდელობაში არიან, რომ კონტრაქტის გასრულების მერე უკეთეს ლიგაში, უკეთეს გუნდში გადავიდნენ. ყოველ შემთხვევაში, იმავე დონის ლიგაში ან გუნდში გააგრძელონ თამაში.

რაკი ასეა, მოდით, ვთქვათ, რომ გუშინ საქართველოს ჩემპიონატში არაჩვეულებრივი ტრანსფერი გაიჩარხა: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა და საუკეთესო ბომბარდირთაგანმა ალექსანდრე კაიდარაშვილმა პირველლიგელ „ამერთან“ კონტრაქტი გააფორმა. ცხადია, კაიდარაშვილი რაღაცით მოიხიბლა — ალბათ თავისთვის უკეთესი პერსპექტივა დაინახა.

## კაიდარაშვილმა ამერი ირჩია






REUTERS

## რეალმა გუშინ ვალენსიას რეალობა დაანახა: სამეფო თასზე შინაც მოუგო და სტუმრადაც




REUTERS

გუშინ. მილანი — სიენა 2:1. „შავ-წითლებმა“ სკუდეტოსკენ გაიწიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ხვალ კიევში, სასტუმრო „ნაციონალნიში“ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდრის შესადგენად ჩვენი ჯგუფის გუნდები შეიკრიბებიან*

# ჩოლარიამ იცის, რა უნდა საქართველოს

## ოღონდ არა თურქეთი და თებერვალი



ბაჩანა კოდიაშვილის ფოტო

კიევში საქართველოს წარმომადგენელი ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია იქნება, თუმცა არაა გამორიცხული, მას ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე შეუერთდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩივაძე გუშინ ბაქოში იყო და გადაწყვეტილი არ ჰქონდა, წავიდოდა თუ არა კალენდარზე მოსალაპარაკებლად. გადაწყვეტილი კი ისაა, რომ კიევში არ გაემგზავრება ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. ის თბილისში დარჩება რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხბურთო საქმის მოსაგვარებლად.

— კიევში წასვლას დროის უქონლობის გამო ვერ ვახერხებ. აქ ვიქნები და სხვა საქმეებს მივხედავ. გენერალურ მდივანს ჩვენთვის სასურველი კალენდრის ვარიანტები თან აქვს და ფედერაციის პოზიციას ის ბოლომდე პრინციპულად დაიცავს — გვითხრა გუშინ მერაბ ჟორდანიამ.

მოლაპარაკების მაგიდას მეტოქენი ხვალ დილიდან, ნასაუზმევს მიუსხდებიან. მერე დაგეგმილია ლანჩი, მოლაპარაკების გაგრძელება, სადილი... ამასობაში კი კალენდარიც შედგება, თუ არა და, საქმეში ფიფა ჩაერევა და მეტოქეთა უკითხავად თავის ვარიანტს დაამტკიცებს.

მოლაპარაკებისას ჩვენებს რამდენიმე საკითხში ისეთი პოზიცია ექნებათ, რასაც ქვეყანა რომ დაიქცეს, არ გადავლენ, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ: საქართველოს არ სურს პირველი მატჩის თურქეთთან გამართვა, სასურველია პირველ ტურში დანიაში ან საბერძნეთში თამაში, ან ყაზახეთის მასპინძლობა; ჩვენები ციკლის ბოლო ორ მატჩს სტუმრად არ გამართავენ და კარგი იქნება, თუ ალბანელებთან ციკლის მიწურულს ზედიზედ ითამაშებენ, ისევე როგორც წინა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისას იყო; ქართველები კატეგორიულ უარს იტყვიან თებერვალში თამაშზე, მით უმეტეს, თუ მეტოქენი თბილისში ჩამოსვლას ისურვებენ. ვალერი ჩოლარიას ისიც სურს, რომ უკრაინა ჩვენებმა სექტემბერში მიიღონ.

აი, მოკლედ ასეთია ფეხბურთის ფედერაციის მოსაზრება კალენდრის შედგენასთან დაკავშირებით და თუ ზემოჩამოთვლილ მოთხოვნათაგან მეტოქეებმა ერთი მაინც არ გაითვალისწინეს, ჩვენები მოლაპარაკებას ჩაშლიან და საქმეს ფიფას გადასცემენ.

თანაჯგუფელები კიევში დღეს ჩავლენ. საბერძნეთი, თურქეთი, ყაზახეთი და, რა თქმა უნდა, უკრაინა მოლაპარაკებისას ფედერაციათა პრეზიდენტებითა და ნაკრებთა მწვრთნელებით იქნებიან წარდგენილნი; დანიიდან კიევს ეროვნული გუნდის თავკაცი მორტენ ოლსენი ესტუმრება, ალბანეთიდან მისი კოლეგა ჰანს პატერ ბრიგელი იქნება, საქართველო კი დღემდე უმწვრთნელოდაა. შეხვედრის თამადა უკრაინული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ბანდურკო იქნება.

**ქობა ინასარიძე**



# სამის სამიტი: თბილისი ან სტამბოლი

თურქ აგენტს საქართველოს ნაკრებისთვის მწვრთნელი უკვე შეგულებული ჰყავს, მაგრამ კონტრაქტზე ხელის მოსაწერად მაგიდამდე ჯერ ვერ მიიყვანა. მთავარი მიზეზი თავადაც კარგად მოგეხსენებათ — მერაბ ჟორდანია დაპატიმრებული იყო. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ორშაბათს გაათავისუფლეს. ახლა უკვე შესაძლებელია ჟორდანიას, ანრი მიშელის და ბაირამ თუთუმლუს შეხვედრა, რომელსაც გუშინ სტამბოლში დავუკავშირდით.

— მერაბ ჟორდანიას გათავისუფლება საქმის მოგვარებას ხომ დააჩქარებს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ დღეს და ხვალ არ მოგვარდება.

— კიდევ რამდენი ხანი გჭირდებათ?

— ყველაფერი ჩვენი შეხვედრის შემდეგ გადაწყდება.

— ფრანგ მწვრთნელს და მერაბ ჟორდანიას ბოლოს როდის ესაუბრეთ?

— სამშაბათს ორივეს ველაპარაკე და შეხვედრაზე შევთანხმდით.

— სად და როდის შეიკრიბებით?

— დაზუსტებით ვერ გეტყვით, როდის. ეს შეიძლება თბილისში მოხდეს, შეიძლება სტამბოლში.

— მიშელთან და ჟორდანიასთან თქვენი საუბრის შემდეგ შეგიძლიათ, თქვათ, რომ საქმემ წინ წაიწია?

— რა თქმა უნდა, ტყუილად არ გვილაპარაკია.

**ქობა ინასარიძე**







*მორჩა, გათავებული საქმეა, ალეკო ამისულაშვილი კიევის დინამოელია. გუშინ უკრაინის სუპერკლუბმა და ქართველმა მცველმა ხელი 5-წლიან კონტრაქტს მოაწერეს. ალეკო კიევშიც 24 ნომრით ითამაშებს, იმ ნომრით, რომლითაც თბილისის „დინამოში“ თამაშობდა. ახლახან ალექსეი მიხაილიჩენკომ კითხვაზე, რა პერსპექტივა აქვს ქართველ ფეხბურთელს, ასე გვიპასუხა: „საოცრად შრომისმოყვარე ბიჭია, კარგი აღნაგობით და ფიზიკური გამძლეობით გამოირჩევა. აქვს პოზიციის ზუსტად შერჩევის ალღო. კარგად მახსოვს კახა კალაძის პირველი ნაბიჯები კიევში. მასთან შედარებით ამისულაშვილი უკვე ჩამოყალიბებულ მოთამაშედ მოვიდა“. მიხაილიჩენკოს ეს კომენტარი მაშინდელია, როდესაც ჯერ კიდევ მიდიოდა მკითხაობა ამისულაშვილის კიევურ კარიერაზე.*

# კიევის დინამო, ამისულაშვილი 24

ადვილი მისახვედრია, რა გახარებული იქნებოდა ალეკო, გუშინ კიევში რომ შევეხმიანეთ...

— **ალეკო, გილოცავ ნანატრ კონტრაქტს. გვითხარი, რა იყო, როგორ...**

— ყველაფერი ძალიან სწრაფად და შინაურ, საკლუბო ვითარებაში მოხდა. ხელის მოწერას ჩემ გარდა მამაჩემი, ჩემი მენეჯერი და იგორ სურკისი ესწრებოდნენ. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და საუკეთესო სურვილებით დავშორდით.

— **მაისურა გადმოგცეს?**

— არა, ვინაიდან ოფიციალური წარდგენა მოგვიანებით მოეწყობა. ძალიან მიხარია, რომ კიევშიც 24 ნომრით ვითამაშებ. ეს ნომერი ბედნიერად მაქვს დაცდილი, მთლად ახალგაზრდა „დინამოს“ ძირითადში მოვხვდი და ნაკრებში ვითამაშე.

— **ალბათ ძალიან ღელავდი...**

— ჰო, ბედნიერიც ვიყავი და ვღელავდი კიდეც. ამ ემოციებს სიტყვით ვერ გადმოგცემთ. კარგად ვხვდები, რომ მთავარი ახლა იწყება. კონტრაქტზე ხელის მოწერა ჩემთვის თვითმიზანი არ ყოფილა. ახლა ძირითადში უნდა მოვხვდე და პროფესიული ზრდა განვაგრძო.

— **თანაგუნდელებმა მოგილოცეს კონტრაქტის გაფორმება, ხომ არ აღნიშნეთ კიდეც?**

— გუნდს ორდღიანი დასვენება მისცეს და ბაზაზე არავინ იყო. ამიტომ ხვალ მომილოცავენ, როცა შევიკრიბებით.

— **კონტრაქტამდე მაინც ფრთხილობდი, რატომ, არ გჯეროდა შენი თავის?**

— სიმართლე გითხრა, ახლახან გერმანიაში „მიუნხენთან“ მეორე ტესტ-მატჩის შემდეგ 90 პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ კონტრაქტს გამიფორმებდნენ. მაგრამ, ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— **კლუბის დაკომპლექტება ამით დასრულდა?**

— მგონი კი, ყოველ შემთხვევაში, გასაშვები ყველა გაუშვეს და აქ ახალი აღარავინ დარჩა.

— **ბინა უკვე მოგცეს?**

— ჯერ არა. მე არ ვჩქარობ, თორემ დღესვე მომცემდნენ. 3 თებერვალს ესპანეთში მივდივართ, შემდეგ ერთი კვირით ჩამოვალთ და ისევ ესპანეთში წავალთ რომელიღაც პრესტიჟულ ტურნირში სათამაშოდ. ეს იქნება ბოლო, მესამე მოსამზადებელი ეტაპი. თანაც კიევის „დინამოს“ ბაზაზე ცხოვრებას რა ჯობს, აქ ნამდვილი სამოთხეა. ჯერჯერობით აქ ვიცხოვრებ, ბინას კი მოგვიანებით შევარჩევ.

**დავით ერაძე**

# კაიდარაშვილმა ამერი ირჩია



ბაჩანა კოდიაშვილის ფოტო

გუშინ თბილისის „ამერმა“ ალექსანდრე კაიდარაშვილი დაიმატა.

კაიდარაშვილს გორის დილაში“, „ტორპედოში“, „ოდიშში“, ტერნოპოლის „ნივაში“, კრივოი როგის „კრივბასში“, „ლოკომოტივში“ უთამაშია. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო. ბოლოს ის სწორედ „ლოკომოტივში“ ირიცხებოდა, ოღონდ გორის „დილაში“ იჯარით თამაშობდა. საამსეზონო უმაღლესი ლიგის პირველ ეტაპზე მან 9 გოლი გაიტანა და იჯარის ვადის გასვლის მერე „დილა“ მას ახალი კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობდა. ისიც ვთქვათ, რომ თავისი 9 გოლით კაიდარაშვილი უმაღლესლიგელ ბომბარდირთა შორის მეექვსე ადგილზეა და ბლომად მატჩები რომ არ გასცდენოდა, ვინძლო, უფრო მაღლაც ყოფილიყო. მისით რამდენიმე სხვა უმაღლესლიგელიც იყო დაინტერესებული.

ამ დროს კაიდარაშვილი კარიერას პირველ ლიგაში აგრძელებს და ამ ტრანსფერის უცნაურობაც ეს არის. ჩანს, „ამერმა“ კაიდარაშვილი პერსპექტივით მოხიბლა.

### ინგლისი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

დერბი ქაუნთი 2:0 შეფილდ იუნ.

ლიგის თასი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

მიდლსბრო — არსენალი (1:0) *გადაიდო*

### იტალია

სერია A. გადადებული მატჩი

მილანი 2:1 სიენა

### საფრანგეთი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

ლიონი 3:0 ბორდო

### ამხანაგური მატჩი

სინგაპური 2:5 ნორვეგია

### თურქეთი

თასის 1/8 ფინალი

ბურსასფორი 0:1 *ქონიასფორი*

*ისთანბულსფორი* 1:0 ანკარაგიუჯიუ

მანისა 0:1დ.დ.(0:0) *დენიზლი*

*გენჩლერბირლიგი* 1:0 მალათიასფორი

დიარბაქირსფორი 0:1 *ტრაბზონსფორი*

გალათასარაი 0:5 *რიზესფორი*

*გაზიანთეფსფორი* 4:1 ბეშიქთაში

### საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები

აკრატიტოსი 1:2დ.დ.(0:1) *პროდეფტიკი* (1:0)

*კასტორია* 1:1 პაოკ (1:0)

ხალკიდონა 2:1 *პატრაიკოსი* (0:1)

### ჰოლანდია

I დივიზიონი XVIII ტური

ნაიმეგენი 1:2 ფეიენოორდი

პსვ ეინდჰოვენი 5:1 ზვოლე

ბრედა — გრონინგენი *ΩΩ-ზე ჩაიშალა*

უტრეხტი 0:1 როზენდალი

ვოლენდამი 0:4 ვალვაიკი

ალკმაარი 0:0 ტილბურგი

ჰერენვენი — აიაქსი *გადაიდო*

დენ ჰააგი — როდა *გადაიდო*

ტვენტე 0:0 ვიტესი

### ესპანეთი

სამეფო თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები

სელტა 1:0 *ალავესი* (2:4)

ატლეტიკო 1:2 *სევილია* (0:4)

ვალენსია 1:2 *რეალი* (0:3)





*თბილისის „დინამო" მალე მზადების მეორე ეტაპს დაიწყებს: 1-დან 22 თებერვლამდე კვიპროსის კარგად ნაცნობ ქალაქ აიანაპაში დაბანაკდება, მანამდე კი დინამოელები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობენ ორჯერად ვარჯიშს.*

*მოსკოვიდან თბილისში ერთდღიანი დაგვიანებით დაბრუნებულმა ივო შუშაკმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ბაზაზე ჟურნალისტებს უმასპინძლა. მისი ერთსაათიანი პრესკონფერენცია ესენგეს ტურნირის შემაჯამებელი კომენტარით დაიწყო*

# ივო შუშაკი:
## კონტრაქტს მარტო ფეხბურთელებს კი არა, მეც მთავაზობენ

...მოსკოვის ტურნირი ჩვენთვის პირველ რიგში მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო როგორც ქართველ, ისე რუს ჟურნალისტებს. რომ არა თქვენი ობიექტურობა, უბრალო გულშემატკივრებს ტურნირის შესახებ შესაბამისი განწყობა და წარმოდგენა არ შეექმნებოდათ. მე ჯერ კიდევ მოსკოვში გამგზავრების წინ არ დამიმალავს ის სერიოზული განწყობა, რომლითაც თანამეგობრობის თასის გათამაშებაზე მივემგზავრებოდით. ვთქვი, რომ მას ჩემთვის და ჩემი ფეხბურთელებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოვში სამი დღით ადრე ჩავედით, რათა ბიჭებს ეგრძნოთ ხელოვნური საფარის თავისებურებანი. მადლობას ვუხდი ჩემი გუნდის თითოეულ ფეხბურთელს საქმისადმი პროფესიული მიდგომისთვის. დისციპლინის მხრივ საპრეტენზიო არ მქონია. ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც გუნდური დისციპლინა დაარღვია, სანდრო იაშვილი იყო და ის გუნდს ჩამოვაშორე. იგი დღეს შემოგვიერთდა და ვარჯიში განაგრძო. ჩემი პრინციპია, ყველაზე მაღლა საერთო გუნდური დისციპლინა დავაყენო.

თავად ტურნირზე „დინამო", ფაქტობრივად, მოუმზადებელი წავიდა და მაინც თანამედროვე, სწრაფი და დაუღლელი ფეხბურთი ითამაშა. აშკარა იყო ყველა ფეხბურთელის პროგრესი. ეს პროგრესი თავად ტურნირის მსვლელობისას, მატჩიდან მატჩამდე გაგრძელდა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ბიჭები დასვენებულები იყვნენ, მაგრამ ინდივიდუალური ვარჯიშის წყალობით ფორმაში იმყოფებოდნენ. სწორმა მოედანმა საშუალება მოგვცა, სწრაფი და ზუსტ პასზე ორიენტირებული ფეხბურთი გვეთამაშა. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან აქცენტს მოედნების ცუდ ხარისხზე ვაკეთებ. სხვაობა უკვე ამ ტურნირზეც გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ იდეალური არც მოსკოვური სარბიელი იყო. წარმატებაში თავისი წილი ქართულმა სათვისტომომაც დაიდო — პირველი მატჩიდან ფინალამდე არ მოგვკლებია გულმხურვალე ქომაგობა. ტურნირზე იყო იოლი მატჩებიც და საკმაოდ მძიმე შეხვედრებიც, რომლებშიც კარგად გამოჩნდა ბიჭების სერიოზული განწყობა და ბრძოლისუნარიანობა, ჩემი ფეხბურთელების უმეტესობით სელექციონერები დაინტერესდნენ. დარასელია სულაც მოსკოვში დარჩა და ალბათ იქ გააგრძელებს კარიერას. ახალაია, შაშიაშვილი, ბურდული, ალექსიძე, კვირკველია და გოგობერიშვილიც სურდათ რუსული პრემიერლიგის კლუბებს, მაგრამ მათ მოცდა არჩიეს. იმედს ვიტოვებ, რომ ძირითად ბირთვს მაინც შევინარჩუნებთ.

„სარბიელის" კითხვას, თავად ბატონ ივოს თუ ჰქონდა რუსული კლუბებისგან შეთავაზებები, მან გულახდილად უპასუხა...

— რატომ მოვიტყუო? იყო წინადადებები. მეტიც, უკვე კონტრაქტზეც დამელაპარაკნენ, თუმცა ჩემი მუშაობის წესი ასეთია: როდესაც ერთ საქმეს ვემსახურები, პარალელურად სხვა შემოთავაზებებზე არ ვფიქრობ. მხოლოდ კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ ვიწყებ ფიქრს, თუ რა ვაკეთო... ჯერ კიდევ ნოემბერში საუცხოო პირობებით პირდაპირ კონტრაქტის გაფორმება „როსტოვმა" შემომთავაზა, მაგრამ უარი შევუთვალე. ამჟამად „დინამოზე" ვარ კონცენტრირებული. ახლაც, ტურნირის დასრულების შემდეგ, რამდენიმე რუსული კლუბი იყო ჩემით დაინტერესებული, მაგრამ... გთხოვთ, კლუბების დასახელებას ნუ მომთხოვთ, ისე არ გამოვიდეს, თითქოსდა მათ საწადელის ასრულება ვერ შეძლეს.

შემდეგ კი პრესკონფერენციამ ჩვეული სახე მიიღო, შუშაკმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა...

...რა თქმა უნდა, საწყენია, როდესაც წამყვან მოთამაშეებს კარგავ, მაგრამ ეს თანამედროვე ფეხბურთში გარდაუვალია. ფეხბურთელთა უმეტესობას კონტრაქტი ისე აქვს გაფორმებული, რომ ძნელია, რამე იღონო. ხელშეკრულების თანახმად, თუ ფეხბურთელს რეალური მყიდველი გამოუჩნდება, ის უფლებამოსილია, წავიდეს. ასე მოხდა ამისულაშვილის შემთხვევაშიც. ალეკო კიდევ ერთი წელი „დინამოს" საკუთრება იყო, მაგრამ მისი შეძენის სურვილი კიეველებმა გამოთქვეს. რაღა შორს მივდივართ, ჩვენზე მდიდარმა კიევის „დინამომ" კლუბის წამყვანი ფეხბურთელები ვერ შეინარჩუნა. ახლა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ „დინამოს" ფეხბურთელებს კონტრაქტი გავუგრძელოთ. ამის შემდეგ უკვე ერთად გადავწყვეტთ, როდის არის წასვლისთვის იდეალური პერიოდი. ესენგეს ტურნირის მოგებამ ბიჭები დაარწმუნა, რომ საქართველოშიც შეიძლება დაოსტატება და შესაბამისი შემოთავაზებების მიღება. ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა ლოდინი არჩიეს.

...მე არ მგონია, რომ „დინამოს" მეკარეების პრობლემა აქვს. ზოიძე და გვარამაძე გუნდში სათანადო კონკურენციას ქმნიან. პროგრესს განიცდის მამალაძე. გარდა ამისა, ჩემთან დღეს სტუმრად მყოფმა ოთარ გაბელიამ ერთბაშად რამდენიმე პერსპექტიულ ახალგაზრდა მეკარეზე მომაწოდა ინფორმაცია. თანაც მინდა შეგახსენოთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატშიც და ესენგეს თასზეც ჩვენ ყველაზე ცოტა ბურთი გავუშვით. ეს მეკარეების დამსახურებაცაა.

...წერეთლის ტრავმამ დაცვაში მართლაც გაგვიჩინა პრობლემები. ჩვენ ზედმეტ რისკს და გართულებას მოვერიდეთ და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით. წერეთელი კვიპროსზე სრული დატვირთვით ივარჯიშებს და აღიდგენს სასურველ ფორმას. მან სეზონის ბოლო მაღალ დონეზე ჩაატარა და დაამტკიცა ჩვენი სწორი არჩევანი. ახალგაზრდა კაშიას მოსკოვში ფილტვების ანთების დაწყებითი სტადია აღმოაჩნდა, ამიტომ ისიც ვერ გამოვცადეთ. უკვე კვიპროსზე არ გამოვრიცხავ დაცვაში ახალი ფეხბურთელების მოწვევას და გამოცდას. კარლოსის ჩამოყვანამ აშკარად გაამართლა და ვფიქრობ, ჩვენც აქცენტს უფრო მეტად ბრაზილიელ ლეგიონერებზე გავაკეთებთ.

...სირაძის გადმოყვანით მართლაც ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ ჩვენ კლუბის ბიუჯეტზეც უნდა გვეფიქრა. მართალია, იგი გერმანიაში წავიდა და წარმატებებს ვუსურვებ, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ იჩქარა. მისთვის უკეთესი იქნებოდა, კარიერა „დინამოში" გაეგრძელებინა. ნემსაძის საკითხს რაც შეეხება, ვიმედოვნებ, რომ დადებითად გადაწყდება. ის შოტლანდიაში იმყოფება პირადი საკითხების მოსაგვარებლად. ხვალ თბილისში ჩამოვა და გადაწყდება, წამოვა თუ არა კლუბთან ერთად კვიპროსულ შეკრებაზე.

...რაც შეეხება კვიპროსულ შეკრებას, მოსკოვში გამარჯვებამ ჩვენს მოსამზადებელ ეტაპშიც შეიტანა კორექტივები. მოსკოვში 6 მატჩი ჩავატარეთ და ამიტომ კვიპროსზე სპარინგ-მატჩების რაოდენობა ოთხამდე შევამცირეთ. რუსული პრემიერლიგის და ჩეხეთის უმაღლესი ლიგის გუნდებს 15 თებერვლამდე შევხვდებით. 15 თებერვლიდან კი 4-6 ფეხბურთელს ნაკრებში გავუშვებთ და ამიტომ გუნდი 22 თებერვლამდე ჩვეულებრივ ორჯერად ვარჯიშებს გააგრძელებს.

...ნაკრებში ჩემი დაბრუნება ბევრად იქნება დამოკიდებული ფედერაციისა და ჩემი კლუბის, პირადად ბატონი ბადრი პატარკაციშვილის მოლაპარაკებაზე.

...„დინამომ" კიევიდან ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირზე მიიღო მიწვევა, რომელიც მაისის შუა რიცხვებში ჩატარდება. მსურს, მადლობა გადავუხადო სფფ-ს და პროფესიულ ლიგას. ისინი დაგვთანხმდნენ, მაისში გასამართი თამაშების ცხრილი შეგვიცვალონ. ამრიგად, ჩვენ ლობანოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირშიც ვითამაშებთ.

**დავით ერაძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარასელია ჩაფულიანებულ შინიკს ელაპარაკება

**დარასელიას** ლამის გასაიდუმლოებული სატრანსფერო საქმე დასასრულისკენ მიდის. გუშინდელ „სარბიელში" შემთხვევით არ გვიხსენებია არამოსკოვური რუსული კლუბის ვარიანტი. სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ვიტალის ყველაზე რეალური და ფაქტობრივად მზა კონტრაქტის ვარიანტი იაროსლავლის „შინიკმა" შესთავაზა. ამ კლუბს ფულიანი მფარველები გამოუჩნდნენ, „შინიკისთვის" ახალი და თანამედროვე ბაზა შენდება, დაიწყო სტადიონის განახლებაც და მარტის ბოლოს ანუ რუსეთის ჩემპიონატის დაწყებისთვის ისიც მზად იქნება. კლუბს ახალ სეზონში ახალი მოთხოვნებიც წაუყენეს — ევროსარბიელზე მოხვედრა.

ასეთ ვითარებაში დარასელიას „შინიკში" გადასვლა ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს. გუშინ კი კლუბის პრესატაშე ვალერი ბლოხინმა ეს გვითხრა...

— დარასელიას გადმობირებით მართლაც ვართ დაინტერესებული და მასთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ.

**— საქმე მოლაპარაკებებს არ გასცდენია?**

— ვიტალის საკმაოდ კარგი საკონტრაქტო პირობები შევთავაზეთ. არა მგონია, იუაროს ჩვენი პირობები.

**— კი მაგრამ, მისი შეძენით, მოსკოვის „დინამოც" იყო დაინტერესებული. შეძლებთ დედაქალაქურ კლუბთან ჭიდილს?**

— რატომაც არა?! ჩვენ დინამოელებზე ნაკლები ფინანსები როდი გვაქვს. თანაც დარასელიას ყველაზე ადრე ჩვენ შევეხმიანეთ და დარწმუნებული ვარ, საუკეთესო საკონტრაქტო პირობები შევთავაზეთ. ყველა ღონეს ვიხმართ ესენგეს თასის საუკეთესო ფეხბურთელის გადმოსაბირებლად.

**— თქვენს გუნდს ამბიციებიც მოემატა?**

— ოთხეულისთვის ვიბრძოლებთ. ამის გაკეთების შესაძლებლობა ალბათ რეალურად გვექნება.

**— თქვენი კლუბი სხვა ქართველი ფეხბურთელებითაც ხომ არ დაინტერესებულა?**

— დარასელიას გარდა კონტრაქტი „დინამოს" კიდევ ორ ფეხბურთელს შევთავაზეთ, მაგრამ მათ იუარეს, რადგან ევროპულ ვარიანტებს ელოდებოდნენ. მათ გვარებს გასაგებ მიზეზთა გამო, ცხადია, ვერ დაგისახელებთ.

**— ის მაინც გვითხარით, რა ამპლუის მოთამაშეები იყვნენ?**

— მცველი და ნახევარმცველი.

**— სად აპირებს „შინიკი" მოსამზადებელი ეტაპის გავლას?**

— 1 თებერვალს გუნდი კვიპროსზე გაემგზავრება. როგორც ვიცი, იქ იქნება თქვენი „დინამოც". ეგებ ამხანაგურად მათაც ვეთამაშოთ.

**— კვიპროსზე გუნდს დარასელიაც გაჰყვება?**

— ვფიქრობ, ყველაფერი ამისკენ მიდის.

**დავით ერაძე**

ევროპის ჩემპიონატი
საკვალიფიკაციო ეტაპი. 27-30 იანვარი

# 2:9, 2:11

## მინინაკრები მაქსიმუმს უშვებს


მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

ზვიად კუპატაძემ ბევრი კი გაუშვა, მაგრამ ერთი გაიტანა

**ათასგვარი** პრობლემით დამძიმებული საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები სერბეთ-ჩერნიგორიას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ ეწვია და გუშინწინ მასპინძლებთან შერცხვა. ირაკლი ქავთარაძის გუნდმა უიმედოდ წააგო სადებიუტო მატჩი. უკვე მე-16 წუთისთვის ქართველები 0:5 აგებდნენ, მიზანდარმა მერელა შეძლო ერთის გატანა. ცხადია, ეს საკმარისი არ იყო. სერბებმა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა და დიდი ანგარიშითაც მოიგეს. ერთადერთი სანუგეშო ქართველებისთვის ის მოხდა, რომ ზვიად კუპატაძე პირველი მეკარეა, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გოლის გატანა რომ შეძლო. აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრებს ტრავმის გამო გოჩა კბილაძე ვერ შეეშველა.

შეგახსენებთ, რომ ქართველები სერბებს შარშანაც შეხვდნენ და მაშინ შედარებით მოკრძალებული ანგარიშით, 3:6 დამარცხდნენ.

ერთი სიტყვით, ასეა: გაჭირვებულ, ნათხოვარი ფორმით და ულეგიონერებოდ მოთამაშე გუნდს რა ხეირი უნდა ენახა და რაც ნახა, ესაა — 2:9.

სერბეთ-ჩერნიგორია — საქართველოს შემდეგ დარბაზი ჩვენივე ჯგუფის მეორე მატჩს, რუსეთ — აზერბაიჯანს დაეთმო. ჯგუფის ერთ-ერთმა ფავორიტმა, რუსეთმა იოლად გატეხა მეტოქე — 5:0.

წუხელ, გვიან ღამით საქართველო რუსეთს შეხვდა და უარესად შერცხვა. ჩვენებმა უიმედოდ, 2:11 წააგეს და ჯგუფიდან გასვლის შანსიც საპნის ბუშტივით გასკდა.

**ქახა შალამბერიძე**

| |
|---|
| I ჯგუფი |
| ჰოლანდია 11:1 ისრაელი |
| ბელგია 2:0 საფრანგეთი |
| III ჯგუფი |
| პორტუგალია 6:1 მოლდოვა |
| ანდორა 4:2 კვიპროსი |
| VII ჯგუფი |
| იტალია 5:0 მაკედონია |
| პოლონეთი 3:5 ბოსნია |

**V ჯგუფი. I ტური**

**სერბეთ-ჩერნიგორია 9:2 საქართველო**

1:0 ბოიანოვიჩი (7), 2:0, 3:0 მიშკევიჩი (9, 13), 4:0 სპადიერი (15), 5:0 ბენიჩი (16), 5:1 მიზანდარი (17), 6:1 რაჯიჩი (22), 7:1 მიშკევიჩი (29), 7:2 კუპატაძე (34), 8:2 ცვეტანოვიჩი (37), 9:2 რაჯიჩი (38)

საქართველო: კუპატაძე, სეფერთელაძე, ხუციშვილი, თოთლაძე, ხმალაძე, ათანელიშვილი; მიზანდარი, სარქისიანი, რობაქიძე, ზაქაიძე

მწვრთნელი: ირაკლი ქავთარაძე

გაფრთხილება: თოთლაძე (14), ბენიჩი (36)

**რუსეთი 5:0 აზერბაიჯანი**

1:0 მოსკალენკო (13), 2:0 მაევსკი (22), 3:0 აბიშევი (24), 4:0 მაევსკი (25), 5:0 მოსკალენკო (33)

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# უკრაინას ირანი გაექცა

უკრაინა

**დღე-დღეზე** კიევში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი შედგება. ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე, უკრაინა კი ამასობაში წლის გეგმებს აწყობს და ამხანაგური მატჩებისთვის პარტნიორებს ეძებს.

ჰოდა, მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები კვიპროსის ტურნირში ითამაშებს, უკრაინელები ლიბიას გაეჯიბრებიან. ეს მატჩი 16 თებერვალს გაიმართება. უკრაინას 18 თებერვალს კიდევ ერთი საკონტროლო ჰქონდა დაგეგმილი ირანთან, თუმც გუშინ მათგან უარი მიიღო.

— ირანელებს 18-ში ყატართან მატჩი ჰქონიათ და ამიტომაც უარი შემოგვითვალეს. რა გაეწყობა, თებერვალში მხოლოდ ლიბიასთან თამაშით მოგვიწევს დაკმაყოფილება — განაცხადა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმირ ლაშკულმა.

შეგახსენებთ, რომ ლიბიის გარდა უკრაინა 31 მარტს მაკედონიას, 24 აპრილს სლოვაკეთს, ხოლო 6 ივნისს საფრანგეთს გაეჯიბრება.

— ჩვენ კიდევ გვაქვს რამდენიმე ქვეყნის ასოციაციიდან შემოთავაზება, მაგრამ ყველაფერს მთავარი მწვრთნელის ოლეგ ბლოხინის აზრის გათვალისწინებით შევადგენთ. ვფიქრობ, საამისოდ მუშაობას მაშინ გავაგრძელებთ, როცა ჩვენი ჯგუფის კალენდარი შედგება — განმარტა ლაშკულმა.

**ქახა შალამბერიძე**

*ორი დღის წინ ესპანეთიდან დაბრუნდა მეორებუნდესლიგელი აუე. ხვიჩა შუბითიძის გუნდი ერთკვირიან შეკრებაზე იყო მალიორკაზე და იქ ორი საკონტროლო მატჩიც გამართა. აუე ჯერ ბუნდესლიგელ „ლევერკუზენს" დაუდგა და 2:5 დამარცხდა. რუსთაველმა შემტევმა იმ მატჩში მხოლოდ 30 წუთი ითამაშა და გოლის გატანა მოახერხა. მალიორკადან გამომგზავრებამდე ორი დღით ადრე გერმანელები ესპანეთის მესამედივიზიონელ „მონაკორს" შეხვდნენ და 4:1 იმარჯვეს. ქართველმა ერთი ტაიმი ითამაშა და ორი საგოლე პასი გაჩარხა.*

*გერმანიაში დაბრუნებულ ხვიჩა შუბითიძეს გუშინ შევეხმიანეთ*

# შუბითიძეს კარგ ბიჭობასაც უქებენ


ეროვნული ბიბლიოთეკა

— მალიორკაზე მომქანცველი ვარჯიშები გვქონდა. ორი დღეა, ჩამოვედი და ჯერაც ვერ მოვითქვი სული. ბედად, გერმანიაში საშინელი ამინდი დაგვხვდა, დიდთოვლობაა და არ ვვარჯიშობთ.

— საწვრთნელოდ როგორი პირობები გქონდათ ესპანურ კურორტზე?

— არცთუ იდეალური. მოედანი არ ვარგოდა. უხარისხო საფარი იყო, თანაც ჩვენს იქ ყოფნას წვიმებიც დაერთო და სანახევროდ ტალახში ვვარჯიშობდით.

— „ლევერკუზენთან" მატჩში გოლი გაიტანე. გერმანელმა ჟურნალისტებმა დაწერეს, ლამაზი გოლი იყოო...

— ჰო, არა უშავდა, ფეხებში გავუძვრინე ბურთი მეურვეს და საჯარიმოში შესვლამდე შორეულ კუთხეში ჩავახვიე.

— აუე-ს ვებ-გვერდზე წერია, რომ კლუბის ხელმძღვანელები შენით განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან...

— მალიორკაზე აუე-ს პრეზიდენტი სამ ფეხბურთელს ცალკე გვესაუბრა. კარგი ბიჭები ხართ, თქვენი დიდი იმედი მაქვსო და მატერიალურად წაგვახალისა. კარგი ჟესტი იყო მისი მხრიდან, შევეცდები, მეორე წრეში პრეზიდენტსა და აუე-ს ქომაგს იმედი არ გავუცრუო.

— კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს გიმთავრდება. რას აპირებ?

— ჩემს კონტრაქტში ასეთი მუხლიცაა: თუ გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან არ გავარდება, ხელშეკრულება ავტომატურად ერთი წლით გამიგრძელდება. ასეც რომ არ იყოს, აუელებს ჩემი შენარჩუნების დიდი სურვილი აქვთ. მეც არ ვარ ამის წინააღმდეგი, ისეთ ასაკში ვარ, მეორე ბუნდესლიგაზე უკეთესი ვარიანტის პოვნა გამიჭირდება. თანაც გუნდშიც და გულშემატკივრებშიც კარგი სახელი მაქვს, მენდობიან, ჩემი სჯერათ და სხვა რა სჭირდება ფეხბურთელს...

— რამდენიმე დღეში ჩემპიონატი განახლდება, როგორი მომზადებულია გუნდი?

— შაბათს „რეგენსბურგს" ვეთამაშებით. უნდა მოვუგოთ, საამისოდ ყველა პირობა გვაქვს. „რეგენსბურგი" შეთხელდა, ძირითადი ბირთვის რამდენიმე ფეხბურთელი გაყიდა, აუე-მ კი შარშანდელი შემადგენლობა შეინარჩუნა. მეტიც, გაეძლიერდით: „დუისბურგიდან" მეკარე ბობელი დავიმატეთ, ექსვერდერელი მცველი მაიკ ბარტენიც ჩვენთანაა. გუშინ კი აუე-მ ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი ცნობილ პოლონელ ფეხბურთელ მარეკ იუსკოვიაკთან. ამ კაცს ნაკრების შემადგენლობაში თბილისშიც უთამაშია და ეხსომება ქართველ ქომაგს.

— იუსკოვიაკი ამპლუით ფორვარდია, კონკურენციის არ გეშინია?

— საკონტროლო მატჩებში მე და მარეკს წყვილად გვათამაშებდა მწვრთნელი, კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს და ჩანს, აუე აქცენტს ჩვენს დუეტზე გააკეთებს. ასე რომ, იუსკოვიაკს პარტნიორს უფრო დავარქმევდი, ვიდრე კონკურენტს.

**ბაატა ძვანტალიანი**

# იონამ იომა, ჭანტურიამ დაიჭირა

**ყირიმის** ნახევარკუნძულზე, შინაურ კედლებში ემზადება სიმფეროპოლის „ტავრია". უკრაინულ უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლა მოუწევთ სიმფეროპოლელებს და სამეორეეტაპოდ ოთხი ფეხბურთელითაც გაძლიერდნენ. ახალწვეულები სხვადასხვა უკრაინული კლუბებიდან არიან.

„ტავრიამ" ერთდღიანი ინტერვალით ორი საკონტროლო მატჩი გამართა და ორივეში თავი გამოიჩინეს გუნდის ქართველმა ლეგიონერებმა, გრიგოლ ჭანტურიამ და ზურაბ იონანიძემ.

სიმფეროპოლელებმა პირველ მატჩში უზბეკურ „ნოვბხორს" უმასპინძლეს. „ტავრიამ" 3:1 გაიმარჯვა. ჭანტურიამ არაერთი რთული ბურთი მოიგერია, ბოლოს კი პენალტიც აიღო. შეუცვლელად ითამაშა ზურაბ იონანიძემაც, „იონამ" მოხდენილი თავურით გახსნა ანგარიში, მეორე ტაიმში კი კისილიოვსაც გაატანინა.

„ტავრიამ" 3:1 სძლია ახტირკის „ნეფტიანიკსაც". ქართველებმა კვლავაც შეუცვლელად ითამაშეს, იონანიძემ კი შედეგიანობა გაზარდა და მენავთობეებთან დუბლით გამოირჩა.

სიმფეროპოლელებს არ უთამაშებიათ ორი ქართველი ახალწვეული — კახა ჩხეტიანი და გია იმედაძე.

საკონტროლო მატჩი ჰქონდა დონეცკის „მეტალურგსაც". დონბასელები რამენსკოეს „სატურნთან" დამარცხდნენ 1:2. უკრაინელთა გუნდში ორივე ქართველმა ითამაშა. დემეტრაძე 63-ე წუთზე შეცვალეს, ჯამარაული კი მეორე ტაიმის დასაწყისში შევიდა მოედანზე და „მეტალურგის" ერთადერთ გოლში დრანოვს ასისტენტობა გაუწია.

**ბაატა ძვანტალიანი**


**სიახლე საქართველოში!**



საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში



**სარო-არტპრინტი**

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სულ ბოლო ცნობებით, „მანჩესტერ იუნაიტედში“ კონფლიქტი დაიწმინდა და სერ ალექს ფერგიუსონი ძალიან მალე მოაწერს ხელს კონტრაქტს, რომელიც 2005-06 წლების სეზონის ბოლომდე გასტანს და მრავალნაცად ბოსს 5 მილიონ გირვანქას მოუტანს*

# არც შენი, არც ჩემი
## ფერგი ხელს აწერს



სერ ალექს ფერგიუსონს კლუბის მთავარ მეწილესთან ამ ცხენის გამო გაურთულდა ურთიერთობა

მანამდე კი სერ ალექსს სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადა მისმა მარადმა მეტოქემ და კოლეგამ, „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა, რომელმაც პირდაპირ თქვა: არ არსებობს ძალა, რომელიც ფერგის „ოლდ ტრეფორდიდან“ განდევნისო.

კონტრაქტი წერტილს დაუსვამს ფერგიუსონისა და „მანჩესტერის“ მთავარი მეწილეების, ჯონ მანიესა და პიჯეი მაკმანუსის საკლუბო დავას. ირლანდიელ მილიონერთა წყვილი მოითხოვდა, რომ მენეჯერის კონტრაქტი ერთწლიანი ყოფილიყო. ვენგერმა კი განმარტა: „არ მგონია, რომ მას მოერიონ. შეხედეთ, რა სიმაღლეზე ატყორცნა მან კლუბი. ყველა მას უჭერს მხარს. ის დარჩება და კლუბის სტაბილურობის გარანტიაც სწორედ მისი საქმიანობაა“. მანიეს სასამართლო დავა აქვს ფერგიუსონთან სადოლე ცხენის „როკ ოფ ჯიბრალტარის“ გამო და ამით გამწარებულმა „კროლის“ ასოციაციის დეტექტივებიც იქირავა მენეჯერის საქმიანობის გამოსაძიებლად და მისი კონტრაქტის შეყოვნებაც სურს.

თუმცა, გაზეთ „სანის“ უკანასკნელი ნაჩხრეკით, ფერგიუსონი ერთწლიანის ნაცვლად, ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მანიეს კვლავაც აინტერესებს ფერგიუსონის სატრანსფერო პოლიტიკა, მაკმანუსმა კი 63-შეკითხვიანი სია აახლა კლუბის საბჭოს. ეს ორი მთავარმეწილე ფიქრობს, რომ მხოლოდ ამ საქმეების საბოლოოდ გარკვევის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი იმ კონტრაქტზე, ფერგიუსონს რომ ადრე შეპირდნენ. ის ზღაპრული კონტრაქტი კი ოთხწლიანი იყო.

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით კომპრომისი გამონახულია.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ბათი რჩება
## ნიკის წასვლა დაგვაზიანებს

**ათასი** მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ირკვევა, რომ ნიკი ბათი „მანჩესტერში“ რჩება. ყოველ შემთხვევაში, ასე ჰგონია „მიდლსბროს“ თავკაც სტივ მაკლარენს, რომელსაც ძალიან უნდოდა ძირითადის გარეშე დარჩენილი ნახევარმცველის ყიდვა.

ბათის შესაძენად მუშაობდნენ „ევერტონი“ და „პორტსმუთიც“.

მაგრამ სამშაბათს მაკლარენმა, რომელიც ბათთან „მანჩესტერში“ მეორე მწვრთნელად მუშაობის დროიდან მეგობრობს, თქვა: „ბოლო ამბავი ისაა, რომ ნიკი არსად არ მიდის. ჩვენ ბევრს ვეცადეთ, მაგრამ მეტს ვერაფერს მოვახერხებთ“.

უფრო ადრე „ბოროს“ პატრონმა სტივ გიბსონმა თქვა, რომ მაინც აქვს ბათის 5 მილიონგირვანქიანი ტრანსფერის იმედი.

მოლაპარაკებებისას გაირკვა, რომ ალექს ფერგიუსონს არ ნდომია ბათის გაშვება და ეს იმითაც გამოხატა, რომ „ნორჰემპტონთან“ სათასო თამაშში მას კაპიტნობა ანდო.

ბათს წასვლა იმიტომ უნდოდა, რომ ძირითადში იშვიათად ხვდება და შიშობს, რომ ასე საპორტუგალიო ნაკრებში ვერ მოხვდება.

„ვიცი, რომ ნიკის უჭირს და რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა უნდა — თქვა სერ ალექსმა — ეს ყველაფერი მესმის, მაგრამ მისი გაყიდვა დიდ ზიანს მოგვიტანდა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# შავი სია
## სიკვდილმა ფეხბურთისგან მსხვერპლი მოითხოვა

როდესაც მრავალი ათასი მხურვალე ქომაგის თვალწინ საყვარელი გუნდის გამარჯვებისთვის იბრძვი, როდესაც შენი საზრუნავი ოდენ საპირისპირო კარის აღება ან მოწინააღმდეგის მოიერიშეთა დროული განაღმვაა, ან თუნდაც არბიტრის ურთულესი მოვალეობა გაკისრია და მობურთალთა მეტნაკლებად სწორად განსჯა გევალება, ბუნებრივია, აზრადაც არ მოგივა შენს გვერდით მავანი შავოსანი ჩრდილის არსებობა, სახელად სიკვდილი რომ ჰქვია. სამწუხაროდ, დიდი ფეხბურთი დიდ მსხვერპლსაც მოითხოვს.

უნგრელი მიკლოშ ფეჰერის ამასწინანდელმა ტრაგედიამ („ბენფიკას“ 24 წლის მოთამაშე „გიმარაეშთან“ მატჩის უკანასკნელ წუთზე გულის შეტევით დაიღუპა) ყველას კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოეს შარშანდელი უბედური შემთხვევა გაახსენა. აფრიკელი საფრანგეთში ჩატარებული კონფედერაციის თასის შეხვედრისას გარდაიცვალა და ამით მთელი საფეხბურთო სამყარო შოკში ჩააგდო... ვერაგი შავოსანი კი მათ გარდა კიდევ რამდენჯერმე სწვევია სტადიონებს, რათა იქ მყოფი ხალხისთვის ცხოვრების ამაოება მწარედ შეეხსენებინა. ესპანურმა „ელ მუნდო დეპორტემ“ სიკვდილის „სპორტული გატაცებების“ შავბნელი ქრონოლოგია შეგვახსენა:

1) მაქსი, სან პაულუს „ბოტოფაგოს“ მობურთალი, 21 წლის. გარდაიცვალა ფოეს შემთხვევიდან ზუსტად 1 კვირის თავზე. მიზეზი — ბრაზილიის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მიღებული უმძიმესი ტრავმა. მიუხედავად ექიმთა თავგამოდებული მცდელობისა, მისი გადარჩენა ვერაფრით ვერ მოხერხდა.

2) ხოსე რობერტო როდასი. 41 წლის პარაგვაელ არბიტრს 2003 წლის თებერვალში იქაური „გუარანი“ — „ოლიმპიას“ ამხანაგური თამაშის დროს გულის შეტევა მოუვიდა და ასუნსიონის კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

3) **მიხადის მიხაელი**, კვიპროსის „ონისილოს სოტირასის“ 29 წლის თავდამსხმელი. დაიღუპა ასევე გულის შეტევით, როდესაც ტრავმირებული თანაგუნდელის დახმარებას ცდილობდა.

4) **მარკუს ბერგი**, 30 წლის შვედი, იქაური ჩემპიონატის მეოთხე დივიზიონში მოთამაშე ფეხბურთელი, „კივლინს გივსის“ ნახევარმცველი. მიკლოშ ფეჰერის სიკვდილიდან ერთი დღის შემდეგ ვარჯიშზე ასევე გულის შეტევით დაილუპა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ამბებისა, სიკვდილის მსახვრალი ხელი გასულ წელს თურქეთს, კოლუმბიასა და სამხრეთ აფრიკასაც შეეხო. კირკიტა შავოსანს რატომღაც მოსწონს ხალხით გადაჭედილი ტრიბუნების წინ „თავის გამოჩენა“. „კარგი იქნებოდა, რომ ისეთ სიცოცხლისუნარიან მოვლენას, როგორიც ფეხბურთი და საერთოდ მსოფლიო სპორტია, ასეთი შემთხვევები მომავალში მაინც აღარ დაამძიმებდეს“ — ამბობენ ესპანელი კოლეგები.

**ლადო ხომერიკი**






მიკლოშ ფეჰერის სიკვდილმა მთელი პორტუგალია ატირა

## საფრანგეთი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

**მეცი 1:1 მარსელი**

1:0 ბ. როდრიგესი (47), 1:1 დროგბა (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 22 | 15 | 5 | 2 | 39:15 | 50 |
| პსჟ | 22 | 12 | 6 | 4 | 27:16 | 42 |
| ოსერი | 22 | 13 | 2 | 7 | 36:18 | 41 |
| სოშო | 22 | 11 | 6 | 5 | 32:23 | 39 |
| ლიონი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:20 | 38 |
| ბორდო | 21 | 10 | 5 | 6 | 24:18 | 35 |
| მარსელი | 21 | 11 | 1 | 9 | 28:24 | 34 |
| ნანტი | 22 | 9 | 5 | 8 | 23:18 | 32 |
| ნიცა | 22 | 7 | 11 | 4 | 19:17 | 32 |
| ლანსი | 22 | 9 | 3 | 10 | 18:31 | 30 |
| რენი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:23 | 26 |
| სტრასბური | 22 | 7 | 5 | 10 | 34:35 | 26 |
| აიაჩო | 22 | 7 | 4 | 11 | 21:30 | 25 |
| მეცი | 22 | 6 | 6 | 10 | 17:22 | 24 |
| ბასტია | 22 | 6 | 6 | 10 | 23:32 | 24 |
| ლილი | 22 | 5 | 7 | 10 | 21:27 | 22 |
| მონპელიე | 21 | 6 | 3 | 12 | 28:38 | 21 |
| ტულუზი | 22 | 5 | 6 | 11 | 18:30 | 21 |
| გენგამი | 22 | 6 | 3 | 13 | 22:36 | 21 |
| ლე მანი | 22 | 4 | 7 | 11 | 18:34 | 19 |

## ინგლისი

ლიგის თასი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ასტონ ვილა 2:0 *ბოლტონი* (2:5)**

1:0 ჰიცლსპერგერი (10), 2:0 ჯ. სამუელი (88)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



დავიდ პიზარო




მარეკ იანკულოვსკი

# ფანჯრის დახურვამდე
## მარეკმა მაღლა გარეკა

**იტალიურ** პრესაში ერთობ სერიოზულად კი ეწერა, მაგრამ „უდინეზემ“ ოფიციალურად უარყო ხმები, თითქოს დავიდ პიზარო დღეს-ხვალ „ინტერის“ ფეხბურთელი გახდება.

„უდინეზეს“ სპორტული დირექტორი პიერ-პაოლო მარინო:

„არავისთვის არის საიდუმლო, რომ „ინტერს“ პიზარო მოსწონს და მისი შეძენა უნდა, მაგრამ ჩვენ და მილანელები არასდროს მივსხდომივართ მოლაპარაკებების მაგიდას. მე ორშაბათს მილანში არ გახლდით და „ინტერის“ დირექტორთან გაბრიელე ორეალისთან არაფერზე მისაუბრია. „ინტერის“ წარმომადგენლებმა პიზაროს შესახებ ერთი-ორი კითხვა რამდენიმე კვირის წინ, ჩვენი და მათი სათასო შეხვედრის წინა დღეს დაგვისვეს, მაგრამ სერიოზული ნამდვილად არაფერი ყოფილა“.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ხმების თანახმად, „უდინეზეს“ და „ინტერის“ წარმომადგენლებს დღეს ან ხვალ უნდა დაესვათ ხელშეკრულებაზე საბოლოო ხელმოწერა, თუმცა ნახსენებმა მარინომ რაიმე დანიშნული შეხვედრის არსებობა უარყო.

„ჩვენ „ინტერის“ წარმომადგენლებთან არანაირი შეხვედრა არ გვაქვს დანიშნული. გეთანხმებით, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ მერწმუნეთ, დღეს არანაირი პროცესი არ მიმდინარეობს“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ გაზეთები იტყობინებოდნენ, თითქოს დავიდ პიზაროს შეძენის ეშხით „ინტერმა“ თვით ლაციოელ დეიან სტანკოვიჩზე თქვა უარი.

„ნამდვილად არ ვიცი, გადაჰყავდათ სტანკოვიჩი „ინტერში“ თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მას და პიზაროს ერთად თამაში შეუძლიათ“ — დასძინა მარინომ, რომლის გუნდის სხვა ფეხბურთელმა, მარეკ იანკულოვსკიმ განაცხადა, რომ მართალია, უდინეში თავს ჩინებულად გრძნობს, მაგრამ სკუდეტოს მაძიებელ რომელიმე გუნდში უფრო დიდი სიამოვნებით ითამაშებდა.

და ისევ „ინტერზეა“ ლაპარაკი... თუმცა არამარტო მასზე, „იუვენტუსზეც“. მარეკ იანკულოვსკი კი, რომელმაც ბოლო ტურში „რომას“ გაუთანაბრა ანგარიში — 26 წლის ჩეხია, რომელიც ადრე „ნაპოლიში“ თამაშობდა, ხოლო უდინეზესთან კონტრაქტით 2006 წლამდეა შეკრული.

„უდინეში თავს მართლა ბედნიერად ვგრძნობ, ქალაქიც ჩინებულია და გუნდშიც კარგად ვთამაშობ, მაგრამ რომელიმე დიდ კლუბში გადასვლაზე უარს არ ვიტყოდი. „იუვენტუსი“ თუ „ინტერი“? გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის სულერთია. ვფიქრობ, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამ სეზონის მეორე ნახევარი და ევროპის ჩემპიონატი იქნება“ — განაცხადა მარცხენა ნახევარმცველმა, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, სხვა პოზიციებზეც უთამაშია.

**პაპუნა ძიდია**

# რა გვინდა ჩვენ ლიდერებში?
## ბუფონმა დიდას ნაკლები დაუთვალა



ალესანდრო დელ პიერო

ალესანდრო დელ პიერო ამტკიცებს, რომ „იუვენტუსს“ სერია A-ს სათავეში მოსაქცევად მხოლოდ ერთი რამე, მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება.

„სეზონის ნახევარი უკვე გასულია, ასე რომ, მკლავების დასაკაპიწებლად ამაზე კარგ დროს ვერ ვნახავთ“ — ამბობს „ბებერი ქალბატონის“ კაპიტანი, რომელსაც ბოლო ტურში „ემპოლისთან“ ნათამაშევ 3:3-ზე ჩამოუგდეს სიტყვა. მან განაგრძო:

„ამ ფრემ თავი არ უნდა ჩაგვაქინდრინოს. სწორედ პრობლემებმა უნდა მოგვცეს მათი დაძლევის მოტივაცია. წინ დიდი სამუშაო გველის“.

და ვინაიდან ბოლო ტურში „რომამაც“ ფრედ ითამაშა, ცხრილის სათავეში გუნდების თანმიმდევრობა გუშინდლამდე იგივე იყო, რაც ადრე, თუმცა დაცვაში... „იუვენტუსმა“ 18 თამაშში 21 გოლი გაუშვა.

„იუვეს“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი:

„მე 13 გოლი გავუშვი, რაც „მილანის“ მეკარეზე, დიდაზე უარესი შედეგია. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი დღევანდელი პოზიცია ცხრილში სასწაულია. სტატისტიკის თანახმად ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს“.

მაგრამ, ასეთი ცუდი შედეგის მიუხედავად, მარჩელო ლიპი და მისი კლუბი ახალი მცველების შეძენას არ ცდილობენ. არის იმედი, რომ „რომასთან“, მომდევნო ტურში, „ბებერ ქალბატონს“ 37 წლის ჩირო ფერარა გამოუჯანმრთელდება.

**პაპუნა ძიდია**

# მოიგეთ, რა...
## ზიკუ მუტუობს

*სერსე კოზმი ფეხბურთელებს სეზონში პირველ გამარჯვებას სთხოვს — მისმა „პერუჯამ“ კი მადრიდის „ატლეტიკოდან“ ალეხანდრო სანჩეს ფერნანდესი შეიძინა*



სერსე კოზმი

„ჩვენ ყველანი სიკვდილამდე შეურაცხყოფილნი ვართ, რადგან მთელი სერია A დაგვცინის — განაცხადა კოზმიმ, — ისინი იცინიან იმაზე, თუ როგორ ვაგებთ თამაშებს და როგორ ვილუპებით“.

ზემოხსენებული ფერნანდესი 17 წლისაა. მოგეხსენებათ, ამ იანვარში „პერუჯამვე“ შეიძინა ფერნანდესზე 20 წლით უფროსი ფაბრიციო რავანელი. ერთი სიტყვით, ახალი ფეხბურთელები სერსე კოზმის არ აკლია. ერთადერთი, რაც აკლია, გამარჯვებაა.

„სეზონი რომ გადავარჩინოთ, საამისოდ ერთადერთი გზა არსებობს, თამაში უნდა მოვიგოთ. ფეხბურთელებს თამაშით სიამოვნება მინდა ვთხოვო. ნუ იქნებიან ავადმყოფებივით, პირიქით, ყოველ მომდევნო შეხვედრაში გმირულად იბრძოლონ მეტოქის დასამარცხებლად“ — დასძინა მწვრთნელმა, რომელმაც, ალბათ ფაბიო გროსოს „გმირობა“ იგულისხმა, როდესაც ამ აღგზნებულმა, ზედმეტი ენთუზიაზმით შეპყრობილმა ფეხბურთელმა ბოლო ტურში წითელი ბარათი მიიღო.

„იმ დღეს მოედანზე თერთმეტივე მოთამაშე რომ შეგვენარჩუნებინა, ალბათ, არ წავაგებდით“ — თქვა კოზმიმ.

იმ დღეს „პერუჯა“ „სიენას“ ხვდებოდა და 1:0-ს იგებდა, მაგრამ ბოლო ოთხ წუთში ორი გოლი გაუშვა და მორიგი მარცხი გამოუვიდა. „პერუჯას“ გოლი რავანელიმ გაიტანა.

კოზმი: „ახალმოსულები გარემოს კარგად ეგუებიან. დღესაც არ მეპარება ეჭვი, რომ სერია A-ში დარჩენა შეიძლება, თუმცა ამისთვის აუცილებელია ამ ტურში „პარმა“ დავამარცხოთ“.

ხოლო „პარმას“ ხსენებაზე შეიძლება იანის ზიკუც ვახსენოთ — პარმელებს სწამთ, რომ იგი მათთვის შეიძლება ახალი ადრიან მუტუ გახდეს.

ზიკუ „ტარდინიზე“ გასულ კვირაში ჩავიდა. იგი ადრიანოს „ინტერში“ გადასვლის კომბინაციის შემადგენელი ნაწილია.

„ბედნიერი ვარ „პარმას“ დონის კლუბში რომ მოვხვდი — ამბობს ფეხბურთელი, რომელიც აქ მეშვიდე ნომრით ითამაშებს, — მუტუს კვალს მივსდევ, იტალიაში ბუქარესტის „დინამოდან“ მოვედი და მომავალშიც მის დარ კარიერაზე ვოცნებობ“.

შეგახსენებთ, რომ თავიდან „ინტერში“ მისული მუტუ ერთი ხნის შემდეგ „პარმას“ ქომაგთა გმირად ჩამოყალიბდა, ხოლო „პარმადან“ ლონდონში, რომან აბრამოვიჩის „ჩელსიში“ გადაბარგდა.

„მუტუ „პარმაში“ რომ მოვიდა, იტალიურ ფეხბურთში თამაშის სამწლიანი გამოცდილება ჰქონდა, მე კი რამდენიმე დღის ჩამოსული გახლავართ და ჯერ გონს მოგება მჭირდება. ვიცი, შესაგუებლად დრო არის საჭირო. ცხოვრებასაც უნდა ავუღო ალღო და თამაშსაც. გარემარბობა შემიძლია, ოღონდ მუშაობა რომ დღეიდანვე უნდა დავიწყო, ეჭვი არ არის“.

**პაპუნა ძიდია**




იანის ზიკუ



ვის დაუთმობს ფრანკო სენსი ემერსონს, თავად სენსიმ თუ იცის

# ბიჭები რეკავენ, პრეზიდენტს სძულს

## მილანმა ემერსონს ბრაზილიელები მიუგზავნა

*სეზონის მიწურულს, „რომაში“ მოთამაშე ბრაზილიელი ემერსონი „მილანის“, „ინტერის“ და „ჩელსის“ დავავაჭრობის საგანი გახდება — თუ 27 წლის ნახევარმცველს რომაელები კონტრაქტის განახლებაზე ვერ მოურიგდებიან, პირობის თანახმად გაჰყიდიან*



ისე, წესითა და რიგით, „რომას“ მისი თავისთან დატოვება სურს, მაგრამ შესაძლო, ფინანსურმა ვითარებამ მისთვის მოსაწონი პირობები ვერ ათქმევინოს.

როგორც მოგახსენეთ, ემერსონის შეძენით ბევრი კლუბია დაინტერესებული, ოღონდ ამ ინტერესის ამბავი ფულში მხოლოდ „ჩელსიმ“ გადაიყვანა — ზაფხულში ბრაზილიელში რომაელებს 28 მილიონ ინგლისურ გირვანქას სთავაზობდა, რაც 50 მილიონამდე დოლარია.

„ინტერი“, რომელიც ამ ბოლო დროს ყველასა და ყველაფერს ყიდვაზეა გადასული, დედაქალაქელებს ფულს პლუს კრისტიანო ძანეტის სთავაზობს, ხოლო „მილანი“ ფულის გარდა იმის იმედადაა, რომ მისი ბრაზილიელები მშობლიურ ენაზე დაარწმუნებენ, რომ სწორედ მათთან უნდა გადავიდეს და არა სხვაგან. ამბობენ, ნელსონ დიდა, კაფუ და კაკა უკვე დიდ გადარეკვა-გადმორეკვაში არიანო. მაგრამ აქ შეიძლება ერთი დიდი დაბრკოლება გამოიკვეთოს. „რომას“ პრეზიდენტს ფრანკო სენსის „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი სძულს..

ჟილმარ ველოსი, ემერსონის აგენტი:

„ჩემი კლიენტის შეძენით ბევრი კლუბია დაინტერესებული და ამასთან, მინდა გითხრათ, რომ ინგლისიდან მას მხოლოდ „ჩელსი“ როდი ეპატიჟება. ამ ყველაფერზე მე „რომას“ დაველაპარაკები“.

**პაპუნა ძედია**

# ნაგავზე მეტი მილენა

## რონალდინიას ტელევარიანტი

**ცნობილი** ბრაზილიელი ფეხბურთელი მილენა დომინგუში, კიდევ უფრო ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის რონალდოს ცოლი, ესპანეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ტელეკომპანიის, ანტენა 3-ის ერთ-ერთი წამყვანი თუ გახდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იმდენად („რაიო ვალეკანოს“) ფეხბურთელი აღარ არის, რამდენადაც რეკლამის ვარსკვლავია.



ეს ამბავი მადრიდულმა გაზეთმა „მარკამ“ ამცნო საზოგადოებრიობას. ამავე გაზეთში ეწერა, რომ (როგორც ჩანს) გემოვნებიანმა მილენამ უარი შეუთვალა ბევრ ფინანსურად სახეირო, მაგრამ არსებითად და მორალურად ტუტუცურ ტოკ-შოუს, რომელთაც ესპანელები ტელენაგავს უწოდებენ.

„მარკა“ იმასაც გვახსენებს, რომ მილენა და რონალდო ძველებურად ერთი ჭერის ქვეშ ცხოვრობენ, თუმცა დიდი ხანია ერთ ოჯახად აღარ უცხოვრიათ.

და მაინცო, ამბობს „მარკა“, მილენას და რონალდოს ჩინებული ურთიერთობა აქვთ, ხოლო განქორწინების ყოვლადბიუროკრატიულ პროცედურას არ აჩქარებენო.

რონალდოს და რონალდინიას ვაჟი ჰყავთ, რონალდი.

„მარკა“ წერს, რომ ბოლო ხანს მილენას ხშირად ხედავენ მეორე დივიზიონის გუნდის, „ლევანტეს“ თავდამსხმელთან, დავიდ აგანსოსთან, ოღონდ ორივენი გაიძახიან, მეგობრები ვართ, მეტი არაფერიო. ჩვენ კი აი, რა კითხვა დაგვებადა: იმხელა მადრიდში ფეხბურთელის მეტი დავიჯეროთ არავინაა, თუ მილენა არ იცნობს სხვა პროფესიის ხალხს?

**პაპუნა ძედია**

*ბრაზილიაში უამრავი დონ პედრო, ველური მაიმუნი და ფეხბურთელიაო. განსაკუთრებით ფეხბურთელები ჭარბობენ. იმდენნი არიან, რომ მათგან ხუთი ნაკრები გამოვა და ამ ხუთიდან სამი მსოფლიოს ჩემპიონატზე გავა.*

*არადა, წესი როგორია? როგორია და ქვეყანას ერთი ნაკრები უნდა ჰყავდეს. ჰოდა, ამიტომაც თამაშობენ ბრაზილიელი ბიჭები იაპონიის, ბელგიის თუ პორტუგალიის ნაკრებებში.*

*და აი, გერმანიის ნაკრების მეორე ბრაზილიელიც: კევინ კურანი, ევრო 2004-ისა და მუნდიალ 2006-ის იმედი. პირველი ბრაზილიელი რობერტო პაულუ რინკი გახლდათ*

# კურანის ფესვები

## ახალი თაობა ირჩევს გერმანიას

**კევინ კურანი...** ბრაზილიელი, რომლის ერთი ბაბუა უნგრელი ყოფილა, გვარად კურანი. კიდევ, ნორვეგიელი ჰყავდა მეორე პაპის მამა. კევინის მამა გერმანიაში დაიბადა და პანამელი ქალი ითხოვა. მათი შვილი ბრაზილიაში მოევლინა ქვეყანას. ერთი სიტყვით, გინდა ბრაზილიის ნაკრებში ითამაშე, გინდა ნორვეგიისაში და გინდა უნგრეთისაში, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, მან გერმანიის ნაკრები აირჩია.

დღეს 22 წლის კურანი „შტუტგარტში“ თამაშობს, ოღონდ ბრაზილიაში „ფლამენგოს“ ქომაგობს.

და ვის უნდა ნორვეგიელ-უნგრელ-ბრაზილიელ-გერმანელის ყიდვა? ვის და „იუვენტუსს“, „მილანს“ და „ინტერს“ და თუ მიმდინარე სეზონში „შტუტგარტი“ ლიგის საგზურს ველარ მოიპოვებს, მას გაჰყიდიან. ასეთია კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი — აბა, წელიწადში მილიონნახევარ ევროზე ხომ არ დარჩება ბიჭი? აი, რას ამბობს:

— ჯერჯერობით, „შტუტგარტში“ ყველაფერი მაწყობს. ჯერ ხომ ძალიან ახალგაზრდა ვარ და უცხოეთიდან მოწვევაზე არ ვფეთდები. ამასთან, აქ, გერმანიაში, ჩემი საბოლოო სიტყვა სათქმელი დამრჩა.

ეს სიტყვები კურანიმ ჟურნალ „ბრავოს“ უთხრა.

— რას გულისხმობთ, გერმანიის ჩემპიონობას?

— მაგაზე საუბარი ადრეა. აი, გოლები კი შემიძლია მეტი გავიტანო.

— „შტუტგარტთან“ კონტრაქტზე მთლად უპრობლემო მოლაპარაკებები არ გქონიათ.

— კარგა ხნის მანძილზე ხელფასზე ვერ ვთანხმდებოდით, მაგრამ ეს ჩემი ბრალია, უფრო სწორად კი ჩემი მეგობარი გოგონასი. მე მის გარეშე ბინის არჩევა არ მინდოდა, ის კი ვერა და ვერ გადმოსახლდა ჩემთან. აი, ამიტომ აირია ყველაფერი. სინამდვილეში კი არც ისე ბევრი მჭირდება, მე ფულს არ ვფლანგავ. უბრალოდ, მოდურად ვიცვამ და ლამაზ მანქანებს ვყიდულობ.

— რა იგრძენი, როდესაც ნაკრებში მიგიწვიეს?

— ამაზე რუდიმ ფიოლერმა ფელიქს მაგათს („შტუტგარტის“ მწვრთნელია) უთხრა. მე ვერ დამიკავშირდა, თურმე ჩემი ტელეფონი დამჯდარა. როდესაც ფელიქსმა ამის შესახებ გასახდელში მითხრა, ბიჭებმა ტაში დამიკრეს. დიდებული განცდა იყო.

— და პირველი მატჩის წინ ძალიან ინერვიულეთ?

— დიახ, დიახ. ფიოლერი მაწყნარებდა: „წარმოიდგინე, რომ „შტუტგარტში“ ხარ. იყავი მშვიდად და იმოქმედე თავისუფლად...“ ყველაფერი მხოლოდ მას მერე დაწყნარდა, რაც ენდი ჰინკელიც მოვიდა, ჩემი „შტუტგარტელი“ თანაგუნდელი.

— „შტუტგარტს“ ამ სეზონში რა მიზანი აქვს?

— მაგათი სწორედ ახლა არკვევს კლუბის ხელმძღვანელობასთან ამ ამბავს. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი, მგონი, შარშანდელზე ცუდად არ უნდა გამოვიდეთ.

**კევინ კურანი**

*დაიბადა 1982 წლის 2 მარტს რიო დე ჟანეიროში*
*სიმაღლე: 188 სმ.*
*წონა: 78 კგ.*
*კარიერა: „სერანო“, „სპორტინგ პანამა“, „შტუტგარტი“*
*გერმანიის ნაკრები: 6 თამაში, 1 გოლი*
*სატრანსფერო ფასი: 10 მილიონი ევრო*

*ერთ თამაშში მონაწილეობს ათ ორთაბრძოლაში, რაც თავდამსხმელისთვის კარგი მაჩვენებელია. მის წინააღმდეგ ხშირად ჯარიმდებიან. მისი მაისურა ყველაზე დიდტირაჟიანია.*

*მისი მეგობარი გოგონა ხორვატია, ვიქტორია ჰქვია და ორი წლით უფროსია. ამასწინათ გადასახლდა შტუტგარტში.*



— მაგრამ შარშან ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ გლლიდათ.

— ეს სასიამოვნო დაღლაა. ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება დიდხანს გავძლოთ ევროპის უძლიერესთა კომპანიაში. მერვედფინალში „ჩელსი“ რომ შეგვხვდა, ძალიან კარგია. დღეს ამ კლუბზე იმდენს ლაპარაკობენ, რომ... ვაჩვენებთ ჩვენც რომ შეგვიძლია რაღაც.

— ბოლო დროს თქვენს ქომაგებს ადრინდელზე ხშირად ახარებთ. მეორე მხრივ, არის მატჩები, რომელთა გახსენებაც არ გინდათ?

— „ბავარიასთან“ 0:3 რომ წავაგეთ. მაშინ მივხვდი, რომ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი.

# მამის სიტყვა
## არიენ რობენს ჩელსი დაუშალეს



*ყმაწვილი ჰოლანდიელი ფეხბურთელის, არიენ რობენის მამამ ამასწინათ თქვა, უმალ სიკვდილი მიჯობს, ვიდრე ჩემმა შვილმა „ჩელსიში" ითამაშოსო*

არიენ რობენი „პსვ ეინდჰოვენში" თამაშობს და აბრამოვიჩს მისთვის თვალი დაუდგამს. ეგებ მამა რობენი აბრამოვიჩის შეფასებაში მართალიც იყოს, მაგრამ „ჩელსიში" შვილის შესაძლო გადასვლაზე ამგვარი კომენტარის გაკეთებით ვინძლო, ძალიან ცუდი სამსახური გაუწიოს.

მაგრამ არც ეგრე ყოფილა საქმე და მამა რობენს, როგორც ირკვევა, თავისი გათვლა ჰქონია. საქმე ის არის, რომ ყმაწვილი ფორვარდი სერ ალექს ფერგიუსონსაც მოსწონებია და თავისთან ეპატიჟება. ჰოდა, მამა რობენმაც „სერ ალექსის საამებლად პირი მოალო და „ჩელსი" ლანძღა. მან ისიც თქვა, მიჯობს, ჩემმა შვილმა პსვ-ს მეორე შემადგენლობაში ითამაშოს, ვიდრე „ჩელსიშიო".

რას არ იტყვის კაცი საქმის გასახერხებლად.

ახლა ის ვიკითხოთ, რამ განარისხა მამა რობენი „ჩელსიზე".

— ბატონ აბრამოვიჩს ფეხბურთის ფილოსოფიასა და კლუბის სტრუქტურაზე წარმოდგენა არ აქვს. მას ჰგონია, რომ თუ ძალიან ბევრ ფულს დახარჯავს და მთელი ევროპიდან საუკეთესო ფეხბურთელებს ერთად შეყრის, ამით დიდ წარმატებას მიაღწევს. არადა, დიდი გუნდის შესაქმნელად ფულის გარდა სხვა რამეც რომ არის საჭირო, ამ კაცს არ ესმის — განმარტა მამა რობენმა.

**ირაკლი ნინიძე**

# ჩვენ მიტყვით სიმართლეს

**ერთ** მშვენიერ დღეს შეიძლება გაზეთი გადაშალოთ და იქ დევიდ ბექემის სასიყვარულო თავგადასავლებისა და ფულის — დიდი ფულის — უთავბოლოდ ფლანგვის თაობაზე თვითმხილველთა დაწვრილებით ნაამბობი ამოიკითხოთ.

ინგლისიდან ესპანეთში გადაბარგებულმა დევიდ და ვიქტორია ბექემებმა კუბელ ბოდიგარდთა 11-კაციანი რაზმი დაიქირავეს თავიანთი ოჯახური იდილიის დასაცავად. მაგრამ ცოტა ხანში პოშ-ვიქტორია მცველებს აუხირდა, აქაოდა, ჩვენს ოჯახურ საიდუმლოებებზე საქვეყნოდ ლაპარაკობთო და, თერთმეტივე დაითხოვა. ვიქტორიამ სწორედ აქ მიჰქარა.

რაკი დაითხოვეს, კუბელებმა გუდას პირის მოხსნეს და გადაწყვიტეს, ყველაფერი ხომ ვიცით, ფოტო და ვიდეო მასალასაც სააშკარაოზე გამოვიტანთო. დაინტერესებული ხალხი, ცხადია, უმალ გამოჩნდა — ინგლისურმა „დეილი მეილმა" კუბელებს ყველაფრის წვრილად მოყოლაში 800 ათასი ევრო შესთავაზა.

დევიდ ბექემი ამბობს, ბოდიგარდები ვიქტორიამ კი არა, მე გავაგდე, სათქმელი კი ნეტავ რა უნდა ჰქონდეთო.

**მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა. VIII ჯგუფის კალენდარი**

*შვედეთი, ხორვატია, ბულგარეთი, ისლანდია, უნგრეთი, მალტა*

**2004**

4 სექტემბერი
ისლანდია — ბულგარეთი
ხორვატია — უნგრეთი
მალტა — შვედეთი

8 სექტემბერი
შვედეთი — ხორვატია
უნგრეთი — ისლანდია

9 ოქტომბერი
ხორვატია — ბულგარეთი
მალტა — ისლანდია
შვედეთი — უნგრეთი

13 ოქტომბერი
ისლანდია — შვედეთი
ბულგარეთი — მალტა

17 ნოემბერი
მალტა — უნგრეთი

**2005**

26 მარტი
ბულგარეთი — შვედეთი
ხორვატია — ისლანდია

30 მარტი
ხორვატია — მალტა
უნგრეთი — ბულგარეთი

4 ივნისი
ბულგარეთი — ხორვატია
ისლანდია — უნგრეთი
შვედეთი — მალტა

8 ივნისი
ისლანდია — მალტა

3 სექტემბერი
უნგრეთი — მალტა
ისლანდია — ხორვატია
შვედეთი — ბულგარეთი

7 სექტემბერი
მალტა — ხორვატია
ბულგარეთი — ისლანდია
უნგრეთი — შვედეთი

8 ოქტომბერი
ხორვატია — შვედეთი
ბულგარეთი — უნგრეთი

12 ოქტომბერი
უნგრეთი — ხორვატია
მალტა — ბულგარეთი
შვედეთი — ისლანდია

*დეპორტივოელი ხოსე ფრანსისკო მოლინა კვირას „სევილიასთან" საპრიმერო შერკინებისას გალისიური კლუბის შემადგენლობაში თავის მეასე, საიუბილეო შეხვედრას ჩაატარებს.*

# ასიანი კარის კაცი

ჯიქური ხასიათი, პირდაპირობითა და გოლკიპერის ჩაუქი ოსტატობით ცნობილი მოლინა „დეპორში" 2000 წელს, სეგუნდადივიზიონში ჩაჩეხილი მადრიდის „ატლეტიკოდან" ტიტულიანი კამპანიეროების თანხლებით (ვალერონი და კაპდევილა) გადაბარგდა. პირველი გალისიური სეზონი (2000-01) ფრანსისკოსთვის ესპანეთის სუპერთასით აღინიშნა, თუმცა მაშინ ირურეტას კლუბს სხვა ძირითადი მეკარე, კამერუნელი ჟაკ სონგო ჰყავდა. სამაგიეროდ, მოლინამ ლომის წილი დაიდო 2001-02-ის COPA DEL REY-ის ფიესტაში, რასაც მომდევნო სეზონში მეორე სუპერთასი და ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინვალე თამაში დაემატა. „ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი საქმე ასპროცენტიანი სიზუსტით შემესრულებინა. კარიერაში წარმატებებსაც ზუსტად ამას მივაწერ" — გაუმხილა მოლინამ თავისი პროფესიული საიდუმლოება [illegible] ჟურნალისტს.

ამჟამად გალისიელთა მეკარე PREMIO ZAMORA-ზე [illegible] ელი სანტიაგო კანისარესის მეტოქეა — ბენიტესის შეგირდს 21 საამსეზონო მატჩში ფრანსისკოზე 2 ბურთით ნაკლები აქვს გაშვებული. მოლინამ კი ეს პრესტიჟული ჯილდო „ატლეტიკოს" შემადგენლობაში რამდენიმე წლის წინ მოიგო. 2000-01-ში 32 მატჩში 31 გოლი გაუტანეს. 2001-02-ის სეზონში 36-ში — 39, შემდეგ წელს მძიმე ავადმყოფობის გამო მარტო 10 შეხვედრაში ითამაშა და 21 გოლი მიილო. ახლანდელ ჩემპიონატში მეტოქეებმა ჯერჯერობით 21 მატჩიდან 17 ბურთი გაუტანეს. „დეპორტივო" ჩემი ცხოვრების გუნდად იქცა, ბედნიერი ვარ, ლაკორუნიულ ფლაგმანში მეასე თამაშს რომ ვიზეიმებ" — კმაყოფილებით აცხადებს ხავიერ ირურეტას მეკარე.

ისე, „დეპორტივოსთან" მოლინას ერთი საკმაოდ უსიამოვნო მოგონებაც აკავშირებს — 1995 წლის 18 ივლისს, ბოლო, 38-ე ტურის შეხვედრაში, „დეპორტივომ" „ალბასეტე" 8:2 გაანადგურა. ამ უკანასკნელი ბედოვლათი გუნდის კარს კი მაშინ სწორედ ხოსე ფრანსისკო მოლინა იცავდა.



ხოსე ფრანსისკო მოლინა

**ლადო ხომერიკი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურმა** „პორტსმუთმა" რომელმაც პრემიელიგა ჩინებულად დაიწყო, მაგრამ მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთ აუტსაიდერად იქცა, კიდევ ერთი ფორვარდი შეიძინა. იგი 30 წლის ხორვატი ივიცა მორნარია, რომელსაც, როგორც უკვე გაუწყეთ, ბრიუსელის „ანდერლეხტი" კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მორნარს ხელშეკრულებაზე ხელი ჯერ არ მოუწერია, თუმცა ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და ისიც ცნობილია, რომ იგი „პორტსმუთში" 2,5 წელიწადს გაატარებს.

**იტალიელი** მეკარე კარლო კუდიჩინი, რომელსაც „ჩელსის" კარის დაცვა იქამდე უწერია, სანამ „არისტოკრატებს" ახლად შეძენილი პეტერ ჩეხი შეუერთდება, შესაძლოა, ფლორენციის „ფიორენტინაში" ამოჩნდეს. როგორც იცით, კუდიჩინის უკვე გადაწყვეტილი აქვს „სტემ- ფორდ ბრიჯის" დატოვება და, სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნება სურს. აქამდე მის მსურველებს შორის ფავორიტი „მილანი" იყო, მაგრამ ახლა საქმეში საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ „იებიც".

**გერმანულმა** „ბაიერნმა" ფრანკფურტის „აინტრახტის" პერსპექტიული თავდამსხმელი ჯერმენ ჯონსი გადაიბირა. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმება მიღწეულია და უფრო დაწვრილებით ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა. აქვე აღვნიშნოთ, რომ ჯონსი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

**ფრანგმა** დავიდ ტრეზეგემ ტურინის „იუვენტუსთან" სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი და 2008 წლამდე „დელე ალპიზე" დარჩება. როგორც იცით, მხარეებს შორის დიდი ხნის წინ დაიწყო მოლაპარაკებები, მაგრამ ტურინელთა აზრით, ტრეზეგე ძალიან მაღალ ანაზღაურებას ითხოვდა. საბოლოოდ კლუბი და ფეხბურთელი წელიწადში 2,5 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ, რაც 1 მილიონით აღემატება იმ თანხას, რომელსაც ფრანგი აქამდე იღებდა.

**ესპანურმა** „სელტამ" „სოსიედადთან" სამარცხვინო მარცხის შემდეგ მთავარი მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა რომ დაითხოვა, ძველი ამბავია. ვიგოელები ახალ თავკაცს ეძებდნენ და იპოვეს კიდეც: „სელტას" ამიერიდან სერბი სპეციალისტი რადომირ ანტიჩი გაწვრთნის, რომელსაც თავის დროზე „რეალში", „ატლეტიკოში" და „ბარსელონაში" უმუშავია.

**გერმანულმა** „ბაიერნმა" ამსტერდამის „აიაქსის" შემტევ ნახევარმცველ უესლი სნეიდერს დაადგა თვალი. უკანასკნელი მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ თამაშობს და უკვე გზა ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებისკენაც გაიკვალა. აღსანიშნავია, რომ მიუნხენელები სნეიდერზე მას მერე გადაერთვნენ, რაც ბოკახუნიორსელ კარლოს ტევესთან მოეცარათ ხელი.

**რუსულმა** „ლოკომოტივმა" დაახლოებით სამთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ მიზანს მიაღწია და დმიტრი სიჩოვი გადაიბირა. აქამდე თურმე ის აფერხებდა საქმეს, რომ „მარსელი" დიდ თანხას ითხოვდა. როგორც ჩანს, კლუბებმა საერთო ენა გამონახეს, მაგრამ კონტრაქტის ფინანსური მხარე და პირობები ჯერ არ ხმაურდება. „ახლა შემიძლია, ოფიციალურად განვაცხადო, რომ სიჩოვი ჩვენი ფეხბურთელია. მოლაპარაკებები გასული წლის ნოემბერში დავიწყეთ და გულწრფელად ვიტყვი, ერთი პირობა ხელის ჩაქნევაც კი გადავწყვიტეთ, თუმცა ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა და ჩვენსას მივაღწიეთ. სამწუხარო კი ისაა, რომ იგი ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაგვეხმარება" — აღნიშნა რკინიგზელთა პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა.

**ტუნისელი** ჰატამ ტრაბელსით დიდი ხანია, რამდენიმე გრანდია დაინტერესებული. ამ ეტაპზე „არსენალს", „იუვენტუსსა" და, რა თქმა უნდა, ლონდონის „ჩელსის" ასახელებენ. თავად 27 წლის ფეხბურთელი ამბობს, ამჟამად არსად გადასასვლელად მზად არ ვარ და ამაზე სეზონის დამთავრებამდე ვერ ვიფიქრებო.

**იტალიელმა** მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, მსოფლიოს საუკეთესო არბიტრადაა აღიარებული, შესაძლოა, მალე კარიერა ინგლისში გააგრძელოს. იტალიაში მოქმედი წესების თანახმად, მსაჯმა საქმიანობა 45 წლის ასაკში უნდა დაასრულოს, ნისლიან ალბიონზე კი ეს ვადა ორი წლით მეტია. როგორც ამბობენ, კოლინამ, რომელსაც 45 წელი 2005 წელს უსრულდება, უკვე მიიღო წინადადება ინგლისიდან.

## აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
## ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

# მაკბეტის ტრაგედია
## მაროკოს შინაური გამოადგა



მაროკოელი იუსუფ ჰაჯის გოლს ასეთი მაყურებელიც ჰყავდა



**D ჯგუფი. I ტური**

**ნიგერია 0:1 მაროკო**

0:1 ი. ჰაჯი (77)

**სამხრეთ აფრიკა 2:0 ბენინი**

1:0, 2:0 ნომვეტე (58, 76)

ტურნირის დაწყებამდე ფავორიტებად მიჩნეული გუნდები ჯერჯერობით უკბილოდ თამაშობენ. სენეგალმა და კამერუნმა პირველ ტურში ვერ მოიგეს, ოდენ თითო ქულა მიითვალეს, ნიგერიამ კი მაროკოსთან უნიათო ფეხბურთი აჩვენა და დამარცხდა.

მაროკოელთა მწვრთნელი ბადუ ეზაკი მატჩამდე წუწუნებდა, დაშლილ-მორღვეული ნაკრები ჩავიბარე და ეს ჩემი წინამორბედის ბრალიაო. ეზაკიმდე მაროკოს პორტუგალიელი უმბერტო კოელიუ თავკაცობდა, უფრო ადრე კი ფრანგი ანრი მიშელი, რომელსაც ალბათ საქართველოს ეროვნულ გუნდს ჩააბარებენ.

აფრიკის ეროვნებათა თასის წინა ორ გათამაშებაში, კოელიუს მწვრთნელობისას, მაროკო ჯგუფიდან ვერ გავიდა. პორტუგალიელის თავკაცობისას მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზეც ვერ მოხვდა.

ბადუ ეზაკის უცხოელი მწვრთნელების არ სჯერა: „უცხოელი კარგია, თუ კარგი შედეგი ექნება და პირიქით. ჩვენ, მაროკოელებს იმის ნახევარ ჯამაგირსაც კი არ გვაძლევენ, რამდენსაც გადამთიელებს უხდიან, შედეგი კი, ფაქტობრივად, ერთია. მე ჩავიბარე აწეწილი გუნდი აურაცხელი პრობლემებით. ორი წლის წინ საქმეზე არავინ ფიქრობდა და ახლა სასწაულს ნუ მოგვთხოვთ. ასეთი გუნდით მოგება შეუძლებელია“.

ეს იყო ნიგერიასთან შეხვედრამდე, თუმც თამაშში საწინააღმდეგო გამოჩნდა. მაროკოელებს საკმაოდ სოლიდურ-გამართული ნაკრები ჰყავთ.

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია შემოდგომაზე უცხოელ მწვრთნელს ეძებდა, მაგრამ ძვირი უჯდებოდა და გუნდი შინაურ კაცს, კრისტიან ჩუკვუს ანდო.

ჩუკვუ დიდად მცოდნე მწვრთნელი ვერ გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, მაროკოსთან ასე გამოჩნდა. ნიგერიელებმა განსაკუთრებით პირველ ტაიმში მოიკოჭლეს. ზედიზედ ორ ზუსტ პასსაც ვერ აკეთებდნენ. ეზაკის შეგირდები კი პირიქით, გამართულად და ლაღად თამაშობდნენ. ისეთი ეპიზოდებიც იყო, როცა ნიგერიელები საკუთარი ნახევრიდან ცხვირის გამოყოფასაც ვერ ახერხებდნენ. ჯერ-ჯეი ოკოჩას და ნვანკო კანუს თამაში არ წაუვიდათ.

„სუპერარწივებმა“ მეორე ტაიმში თითქოს სცადეს ბრჭყალების გამოჩენა, მაგრამ მათი დღე აშკარად არ იყო. როცა ძალიან მოინდომეს და მეტ-ნაკლებად დალაგდნენ, სწორედ მაშინ გაეპარათ მეტოქის საგოლე კონტრშეტევა. აბდელკრიმ კაისიის ზუსტი პასით „ბასტიას“ ნახევარმცველმა იუსუფ ჰაჯიმ იხეირა და მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა.

შეხვედრის შემდეგ ბადუ ეზაკი სხვანაირად ალაპარაკდა: „დარწმუნებული ვიყავი, ბიჭებს ბრძოლა შეეძლოთ და გამარჯვებაც შესაბამისად დავიმსახურეთ. ჩვენ ნიგერია დავამარცხეთ და ეს უბრალო ამბავი არაა. მათ ხომ შემადგენლობაში ევროპის საუკეთესო კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები ჰყავთ“.

თავის მხრივ დაზაფრული გახლდათ კრისტიან ჩუკვუ: „ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ გუნდი საქმეს არასერიოზულად მიუდგა, მოედანზე თავდაჯერებული გავიდა და დაისაჯა. მატჩამდე საგანგებოდ ვაფრთხილებდი ფეხბურთელებს, მაგრამ თავადაც ნახეთ, რომ პირველ ტაიმში ფაქტობრივად, აცაბაცად დარბოდნენ. შესვენების შემდეგ სცადეს გამოსწორება, მაგრამ მეტოქე უკვე აწყობილი იყო და ამოცანა გართულდა“.

მწვრთნელს კაპიტანი ჯეი-ჯეი ოკოჩაც აჰყვა: „ჩვენს თამაშში არ ჩანდა, რომ მოგება გვსურდა. მოწინააღმდეგეს ბურთი და მოედანი დავუთმეთ და ისინიც თავისუფლად მოქმედებდნენ. ახლა ჯგუფიდან გასასვლელად დარჩენილ ორ მატჩში მაქსიმალური მობილიზება გვჭირდება“.

პირველ ტაიმში მეტოქე სათანადოდ სამხრეთაფრიკელებმაც ვერ შეაფასეს. ბენინი დებიუტანტია, მაგრამ მთლად უვიცი გუნდი ნამდვილად არაა. „ციყვები“ (ბენინის მეტსახელია) მართლაც რომ მოუღლელად დარბოდნენ და „ბაფანა-ბაფანას“ მეკარე ემილ ბარონიც საქმეში ხშირად ერთვებოდა.

სამხრეთაფრიკელებს გოლის გატანის რეალური შანსი შესვენებამდე წუთით ადრე ჰქონდათ. სიაბონგა ნომვეტემ თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააცუდა. ბენინელი მხიბავები ამას ალბათ თავის ჯადოქრობას მიაწერდნენ. მათ ტურნირის დაწყებამდე ხომ ილოცეს თავის გუნდისთვის და არც მეტოქეების დათარსვა დაეზარებოდათ.

ნომვეტემ ჯადო მეორე ტაიმში მოიცილა. „უდინეზეს“ ფორვარდმა, რომელსაც სერია A-ში ჯერ არ გაუტანია, ერთბაშად დუბლი მიითვალა და „ციყვების“ წინააღმდეგობა გატეხა.

„ბაფანა-ბაფანამ“ გაიხარა, თუმც ნაკრების მოთამაშე მაკბეტ სიბაიას არ ეზეიმებოდა. მას ძმა გარდაეცვალა და ტუნისიდან სამშობლოში გაფრინდა. სიბაია ალბათ მაროკოსთან მატჩისთვის დაბრუნდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



სიაბონგა ნომვეტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მაროკო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ნიგერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბენინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**II ტური, 31 იანვარი**

**ნიგერია — სამხრეთ აფრიკა**

**მაროკო — ბენინი**

**გუშინ**

**A ჯგუფი. II ტური**

**რუანდა 1:1 გვინეა**

0:1 ტ. კამარა (49), 1:1 კამანზი (90)

**ტუნისი 3:0 კონგოს დრ**

1:0 დუშ სანტუში (55), 2:0 ბრაჰამი (66), 3:0 დუშ სანტუში (88)

გაძევება: ლუა ლუა (38, კონგოს დრ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| გვინეა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რუანდა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კონგოს დრ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**III ტური, 1 თებერვალი**

რუანდა — კონგოს დრ; ტუნისი — გვინეა

ტუნისი გავიდა მეოთხედფინალში

# ბებერი აღიარეს
## მილამ აფრიკა დაიპყრო

**ტუნისში** ფინალური ტურნირის დაწყებამდე „ფრანს ფუტბოლმა“ აფრიკის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად გამოკითხვა მოაწყო. გამოკითხვაში ფეხბურთელები, მწვრთნელები, ჟურნალისტები და ფედერაციების ჩინოვნიკები მონაწილეობდნენ, მათ ათეულების საკუთარი ვარიანტები უნდა დაესახელებინათ. პირველადგილოსანს 10 ქულა ენიჭებოდა, მეორეს — 9 და ასე შემდეგ;

სულ 38 ფეხბურთელის გვარი დაასახელეს. შედეგად კამერუნელმა როჟე მილამ გაიმარჯვა, სამეული კი ასეთია:

1. **როჟე მილა** — აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი (1976, 1990). მსოფლიოს სამი ჩემპიონატის (1982, 1990, 1994) მონაწილე, ყველაზე „ბებერი“ გოლის ავტორი მუნდიალების ისტორიაში. მაშინ ის 42 წლის და 39 დღის იყო.
2. **აბედი პელე** — აფრიკის სამგზის საუკეთესო. პირველი აფრიკელი, რომელმაც ჩემპიონთა თასი (1993, „მარსელი“) მოიგო.
3. **ჟორჟ ვეა** — პირველი აფრიკელი, რომელიც ევროპაში „ოქროს ბურთით“ (1995) დააჯილდოვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



როჟე მილა

სარბიელი და კრონო
წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 001 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 002 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,65 | 3,2 | 3,3 | | | |
| 19.00 | 003 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 004 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 005 | ფულემი-ტოტენჰემი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 006 | ლიდსი-მიდლსბრო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 007 | ლესტერი-ასტონ ვილა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 008 | ლივერპული-ევერტონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 009 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ბლეკბერნი-ჩელსი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 20.05 | 011 | არსენალი-სიტი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 012 | არსენალი-სიტი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXIX ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 052 | კარდიფი-ნოტინგემი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 053 | ქოვენთრი-იფსვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 054 | კრიუ-მილუოლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 055 | კრისტალ პალასი-უიმბლდონი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 19.00 | 056 | ჯილინგემი-ბრედფორდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 057 | ნორვიჩი-შეფილდი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 058 | რედინგი-დერბი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 059 | სტოკი-უოლსოლი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 060 | სანდერლენდი-პრესტონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 061 | ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 062 | ვესტ ჰემი-როტერჰემი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 063 | უიგანი-ბარნსლი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XXIX ტური**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 073 | უენსდი-უიკომბი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 074 | ბლეკპული-სუინდონი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |
| 19.00 | 075 | ბორნმუთი-რექსემი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 076 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 077 | ჩესტერფილდი-ქუინს პარკი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 078 | კოლჩესტერი-ტრანმერი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 079 | გრიმსბი-ბრისტოლი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 080 | ჰარტლპული-ლუტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 081 | ნოტსი-ბარნსლი | 2,6 | 3,3 | 2,35 | 1,45 | 1,23 | 1,37 |
| 19.00 | 082 | რაშდენი-ოლდჰემი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 083 | სტოკპორტი-პიტერბორო | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.35 | 084 | ბრაიტონი-პლიმუთი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXIX ტური**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 092 | დონკასტერი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 093 | ბოსტონი-ჰალი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 094 | როვერსი-ჰადერსფილდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 095 | ბერი-საუთენდი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 096 | კემბრიჯი-კარლაილი | 1,65 | 3,4 | 3,6 | 1,11 | 1,13 | 1,74 |
| 19.00 | 097 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,42 |
| 19.00 | 098 | დარლინგტონი-როჩდეილი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 099 | მენსფილდი-სუონსი | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |
| 19.00 | 100 | ოქსფორდი-კიდერმინსტერი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 19.00 | 101 | ტორკი-სკანთორპი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 19.00 | 102 | იოვილი-მაკლსფილდი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 19.00 | 103 | იორკი-ლინკოლნი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XXII ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 107 | სელტიკი-კილმარნოკი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 108 | სელტიკი-კილმარნოკი 0:1 | 1,25 | 4,2 | 5,0 | | | |
| 19.00 | 109 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 110 | ჰიბერნიანი-დანდი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 111 | ლივინგსტონი-ჰართსი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 112 | მაზერუელი-აბერდინი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 113 | პარტიკი-რეინჯერსი | 12,5 | 5,6 | 1,15 | 3,86 | 1,05 | 1 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. XXIII ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 115 | ეარი-ბრეჩინი | 1,85 | 3,6 | 3,2 | 1,22 | 1,17 | 1,69 |
| 19.00 | 116 | ფოლკირკი-სტ.ჯონსტონი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 117 | ინვერნესი-სტ.მირენი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 19.00 | 118 | ქუინი-კლაიდი | 2,6 | 3,4 | 2,3 | 1,47 | 1,22 | 1,37 |
| 19.00 | 119 | რეითი-როსი | 2,8 | 3,5 | 2,15 | 1,55 | 1,21 | 1,33 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. XXI ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 122 | ალოა-ფორფარი | 2,35 | 3,4 | 2,45 | 1,38 | 1,19 | 1,42 |
| 19.00 | 123 | არბროთი-მორტონი | 3,4 | 3,5 | 1,8 | 1,72 | 1,17 | 1,18 |
| 19.00 | 124 | ბერიკი-ერდრი | 2,2 | 3,5 | 2,6 | 1,35 | 1,19 | 1,49 |
| 19.00 | 125 | დამბარტონი-სტენჰაუსმუირი | 1,7 | 3,6 | 3,8 | 1,15 | 1,17 | 1,84 |
| 19.00 | 126 | ჰამილტონი-ისტ ფაიფი | 1,75 | 3,5 | 3,6 | 1,16 | 1,17 | 1,77 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. XXI ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 129 | ალბიონი-პიტერჰედი | 3,3 | 3,5 | 1,85 | 1,69 | 1,18 | 1,21 |
| 19.00 | 130 | ისტ სტირლინგი-ქუინს პარკი | 4,2 | 4,0 | 1,55 | 2,04 | 1,13 | 1,11 |
| 19.00 | 131 | ელგინი-კოუდენბიტი | 4,2 | 3,6 | 1,6 | 1,93 | 1,15 | 1,1 |
| 19.00 | 132 | გრეტნა-სტირლინგი | 2,45 | 3,5 | 2,3 | 1,44 | 1,18 | 1,38 |
| 19.00 | 133 | მონტროუზი-სტრანრარი | 3,3 | 3,5 | 1,85 | 1,69 | 1,18 | 1,21 |

**გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 014 | დორტმუნდი-შალკე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 015 | ვერდერი-ჰერტა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 016 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 017 | აინტრახტი-ბაიერნი | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| 18.30 | 018 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 019 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.30 | 020 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 021 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.30 | 022 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 136 | ლიუბეკი-დიუსბურგი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 16.30 | 137 | ალემანია-ბურგჰაუზენი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 16.30 | 138 | უნტერჰახინგი-ფიურტი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 139 | რეგენსბურგი-აუე | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 18.00 | 140 | ტრირი-კოტბუსი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 18.00 | 141 | უნიონი-მაინცი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 18.00 | 142 | ნიურნბერგი-კარლსრუე | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 18.00 | 143 | ოსნაბრიუკი-ალენი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |

**2 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 144 | ობერჰაუზენი-არმინია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |

**იტალია. სერია A. XIX ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 027 | რეჯინა-ემპოლი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 23.30 | 028 | ბრეშა-რომა | 4,6 | 3,0 | 1,8 | 1,81 | 1,29 | 1,12 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 029 | ანკონა-ლეჩე | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 18.00 | 030 | ბოლონია-მილანი | 4,6 | 3,0 | 1,8 | 1,81 | 1,29 | 1,12 |
| 18.00 | 031 | იუვენტუსი-კიევო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 18.00 | 032 | ლაციო-სამპდორია | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 18.00 | 033 | პერუჯა-პარმა | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 18.00 | 034 | უდინეზე-მოდენა | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 23.30 | 035 | ინტერი-სიენა | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 036 | ინტერი-სიენა 0:1 | 1,95 | 3,0 | 2,7 | | | |

**იტალია. სერია B. XXV ტური**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 148 | მესინა-ლივორნო | 2,0 | 2,45 | 4,8 | 1,1 | 1,41 | 1,62 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 149 | ალბინოლეფე-ტრევიზო | 2,5 | 2,4 | 3,3 | 1,22 | 1,42 | 1,38 |
| 18.00 | 150 | აველინო-ტრიესტინა | 2,7 | 2,6 | 2,8 | 1,32 | 1,37 | 1,34 |
| 18.00 | 151 | ბარი-ვიჩენცა | 1,9 | 2,5 | 5,0 | 1,07 | 1,37 | 1,66 |
| 18.00 | 152 | კალიარი-კატანია | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 18.00 | 153 | კომო-ნაპოლი | 2,45 | 2,4 | 3,4 | 1,21 | 1,42 | 1,4 |
| 18.00 | 154 | ფიორენტინა-პესკარა | 1,5 | 3,2 | 8,0 | 1,02 | 1,26 | 2,28 |
| 18.00 | 155 | სალერნიტანა-ტორინო | 2,3 | 2,45 | 3,6 | 1,18 | 1,4 | 1,45 |
| 18.00 | 156 | ვენეცია-ატალანტა | 3,1 | 2,6 | 2,45 | 1,41 | 1,36 | 1,26 |
| 18.00 | 157 | ვერონა-ტერნანა | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |
| 18.00 | 158 | ჯენოა-ასკოლი | 2,0 | 2,5 | 4,6 | 1,11 | 1,39 | 1,61 |

**2 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 159 | პიაჩენცა-პალერმო | 2,25 | 2,5 | 3,6 | 1,18 | 1,38 | 1,47 |

**იტალია. სერია C1/A. XX ტური**

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 163 | არეცო-პავია | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| 17.30 | 164 | ჩეზენა-ჩიტადელა | 1,7 | 2,6 | 6,5 | 1,02 | 1,34 | 1,85 |
| 17.30 | 165 | ლუკეზე-სპეცია | 1,7 | 2,6 | 6,5 | 1,02 | 1,34 | 1,85 |
| 17.30 | 166 | ლუმეცანე-სპალ | 1,7 | 2,6 | 6,5 | 1,02 | 1,34 | 1,85 |
| 17.30 | 167 | პადოვა-რიმინი | 1,55 | 2,9 | 8,0 | 1,01 | 1,29 | 2,12 |
| 17.30 | 168 | პრატო-პრო პატრია | 1,8 | 2,6 | 5,0 | 1,06 | 1,32 | 1,71 |
| 17.30 | 169 | რეჯანა-ნოვარა | 2,1 | 2,5 | 4,0 | 1,14 | 1,37 | 1,53 |
| 17.30 | 170 | ტორესი-პისტოიეზე | 2,5 | 2,45 | 3,1 | 1,23 | 1,38 | 1,36 |
| 17.30 | 171 | ვარეზე-პიზა | 2,35 | 2,5 | 3,3 | 1,21 | 1,37 | 1,42 |

**იტალია. სერია C1/B. XX ტური**

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 175 | აცირეალე-ტარანტო | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| 17.30 | 176 | ბენევენტო-კატანძარო | 2,35 | 2,45 | 3,4 | 1,19 | 1,38 | 1,42 |
| 17.30 | 177 | კო[illegible]ო-ვიტერბეზე | 2,7 | 2,5 | 2,8 | 1,29 | 1,37 | 1,32 |
| 17.30 | 178 | კროტონე-პატერნო | 1,25 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,13 |
| 17.30 | 179 | ფოჯა-ფერმანა | 1,7 | 2,7 | 6,0 | 1,04 | 1,32 | 1,86 |
| 17.30 | 180 | ლანჩანო-სორა | 1,55 | 3,0 | 7,5 | 1,02 | 1,28 | 2,14 |
| 17.30 | 181 | მარტინა-სამბენედეტეზე | 2,45 | 2,5 | 3,1 | 1,23 | 1,36 | 1,38 |
| 17.30 | 182 | ტერამო-ჯულიანოვა | 1,75 | 2,6 | 5,6 | 1,04 | 1,33 | 1,77 |
| 17.30 | 183 | პეზარო-გუბიო | 1,3 | 3,3 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,33 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XXII ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 038 | მალაგა-ვალენსია | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 22.30 | 039 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 00.30 | 040 | ბეტისი-სელტა | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 041 | ვალიადოლიდი-რეალი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 20.00 | 042 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 20.00 | 043 | სოსიედადი-რასინგი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 20.00 | 044 | მურსია-სარაგოსა | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 20.00 | 045 | მალიორკა-ბილბაო | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.00 | 046 | ბარსელონა-ალბასეტე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 047 | ბარსელონა-ალბასეტე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 24.00 | 048 | დეპორტივო-სევილია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XXII ტური**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 204 | მონაკო-პსჟ | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 205 | ოსერი-ბორდო | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 206 | გენგამი-რენი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 23.00 | 207 | ლე მანი-ნანტი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 208 | ლანსი-სტრასბური | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.00 | 209 | მეცი-ლილი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.00 | 210 | მონპელიე-ბასტია | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 211 | სოშო-მარსელი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 212 | ტულუზი-ლიონი | 3,8 | 3,1 | 1,95 | 1,7 | 1,28 | 1,19 |
| 23.00 | 213 | აიაჩო-ნიცა | 2,35 | 2,9 | 3,1 | 1,29 | 1,33 | 1,49 |

**ესპანეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები**

**29 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 355 | სარაგოსა-ბარსელონა | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |

**თურქეთი. თასი. 1/8 ფინალი**

**29 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 362 | სამსუნი-ფენერბაჩე | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,67 | 1,23 | 1,19 |

**აფრიკის თასი (ტუნისი)**

**29 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 368 | კამერუნი-ზიმბაბვე | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| 22.00 | 369 | ალჟირი-ეგვიპტე | 3,5 | 3,0 | 2,0 | 1,61 | 1,27 | 1,2 |

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 370 | სენეგალი-კენია | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| 22.00 | 371 | ბურკინა ფასო-მალი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

**29 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.40 | 1247 | ეფესი-ოლიმპიაკოსი | 1,2 | 10,0 | 3,5 | 1,07 | 1 | 2,59 |
| 22.40 | 1248 | ჟალგირისი-უნიკახა | 1,35 | 10,0 | 2,6 | 1,18 | 1 | 2,06 |
| 23.00 | 1249 | მაკაბი-სკიპერი | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |
| 23.40 | 1250 | ვილერბანი-ბენეტონი | 2,8 | 10,0 | 1,25 | 2,18 | 1 | 1,11 |
| 23.40 | 1251 | ტაუ-ალბა | 1,05 | 10,0 | 6,0 | 1 | 1 | 3,75 |
| 23.40 | 1252 | სიენა-კრკა | 1,02 | 10,0 | 6,5 | 1 | 1 | 3,93 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ჩარლტონი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ფულემი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ლიდსი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ლესტერი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ლივერპული-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | ბლეკბერნი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | არსენალი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | დორტმუნდი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ვერდერი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | შტუტგარტი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | აინტრახტი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | მილანი-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | რეჯინა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ბრეშა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ანკონა-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ბოლონია-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | იუვენტუსი-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ლაციო-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | პერუჯა-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | უდინეზე-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ინტერი-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,85 | 1,75 |
| 5303 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5304 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1,75 | 1,85 |
| 5305 | ფულემი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5306 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5307 | ლესტერი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5308 | ლივერპული-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5310 | ბლექბერნი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5311 | არსენალი-სიტი | 1,85 | 1,75 |
| 5314 | დორტმუნდი-შალკე | 1,6 | 2,0 |
| 5315 | ვერდერი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 5316 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,7 | 1,9 |
| 5317 | აინტრახტი-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 5318 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5319 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 5320 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 5321 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5322 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 1,65 | 1,95 |
| 5325 | მილანი-სიენა | 1,85 | 1,75 |
| 5327 | რეჯინა-ემპოლი | 1,65 | 1,95 |
| 5328 | ბრეშა-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ანკონა-ლეჩე | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ბოლონია-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 5331 | იუვენტუსი-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 5332 | ლაციო-სამპდორია | 1,65 | 1,95 |
| 5333 | პერუჯა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5334 | უდინეზე-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ინტერი-სიენა | 1,75 | 1,95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,2 | 4,0 |
| 5403 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,9 | 1,9 |
| 5404 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1,65 | 2,3 |
| 5405 | ფულემი-ტოტენჰემი | 1,8 | 2,0 |
| 5406 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,9 | 1,9 |
| 5407 | ლესტერი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,95 |
| 5408 | ლივერპული-ევერტონი | 1,5 | 2,6 |
| 5409 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 1,65 | 2,3 |
| 5410 | ბლექბერნი-ჩელსი | 2,4 | 1,6 |
| 5411 | არსენალი-სიტი | 1,2 | 4,0 |
| 5414 | დორტმუნდი-შალკე | 1,7 | 2,2 |
| 5415 | ვერდერი-ჰერტა | 1,4 | 3,0 |
| 5416 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,4 | 3,0 |
| 5417 | აინტრახტი-ბაიერნი | 2,6 | 1,5 |
| 5418 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,2 |
| 5419 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 2,0 |
| 5420 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,0 |
| 5421 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 1,85 | 1,95 |
| 5422 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,85 |
| 5425 | მილანი-სიენა | 1,15 | 4,4 |
| 5427 | რეჯინა-ემპოლი | 1,65 | 2,3 |
| 5428 | ბრეშა-რომა | 2,4 | 1,6 |
| 5429 | ანკონა-ლეჩე | 1,9 | 1,9 |
| 5430 | ბოლონია-მილანი | 2,4 | 1,6 |
| 5431 | იუვენტუსი-კიევო | 1,25 | 3,7 |
| 5432 | ლაციო-სამპდორია | 1,5 | 2,6 |
| 5433 | პერუჯა-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 5434 | უდინეზე-მოდენა | 1,45 | 2,8 |
| 5435 | ინტერი-სიენა | 1,25 | 3,7 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 2,1 | 1,55 |
| 5203 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 5204 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5205 | ფულემი-ტოტენჰემი | 1,85 | 1,75 |
| 5206 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 5207 | ლესტერი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 5208 | ლივერპული-ევერტონი | 1,8 | 1,8 |
| 5209 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5210 | ბლექბერნი-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 5211 | არსენალი-სიტი | 2,1 | 1,55 |
| 5214 | დორტმუნდი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 5215 | ვერდერი-ჰერტა | 2,2 | 1,5 |
| 5216 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 5217 | აინტრახტი-ბაიერნი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5219 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 2,1 | 1,55 |
| 5220 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 1,65 |
| 5221 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5222 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2,1 | 1,55 |
| 5225 | მილანი-სიენა | 2,0 | 1,6 |
| 5227 | რეჯინა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5228 | ბრეშა-რომა | 1,85 | 1,75 |
| 5229 | ანკონა-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 5230 | ბოლონია-მილანი | 1,75 | 1,85 |
| 5231 | იუვენტუსი-კიევო | 2,1 | 1,55 |
| 5232 | ლაციო-სამპდორია | 1,85 | 1,75 |
| 5233 | პერუჯა-პარმა | 1,85 | 1,75 |
| 5234 | უდინეზე-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 5235 | ინტერი-სიენა | 2,0 | 1,6 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 31.01 16.30 | 6001 | ინგლისი პლ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 30.01 22.30 | 6002 | გერმანია ბლ (XVIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 31.01 21.00 | 6003 | იტალია A (XIX) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 31.01 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 30.01 24.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 30.01 00.15 | 6006 | პორტუგალია სლ (XX) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 30.01 23.30 | 6008 | ბელგია Iდ (XX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 5003 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5004 | ჩარლტონი-ბოლტონი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5005 | ფულემი-ტოტენჰემი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5006 | ლიდსი-მიდლსბრო | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5007 | ლესტერი-ასტონ ვილა | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 5008 | ლივერპული-ევერტონი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 5009 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5010 | ბლექბერნი-ჩელსი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 5011 | არსენალი-სიტი | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 5014 | დორტმუნდი-შალკე | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 5015 | ვერდერი-ჰერტა | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 5016 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,85 | 2,35 | 5,6 | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 5017 | აინტრახტი-ბაიერნი | 5,6 | 2,3 | 1,9 | 1,63 | 1,41 | 1,04 |
| 5018 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5019 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 5020 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5021 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 5022 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 5025 | მილანი-სიენა | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |
| 5027 | რეჯინა-ემპოლი | 2,35 | 2,05 | 4,6 | 1,09 | 1,55 | 1,41 |
| 5028 | ბრეშა-რომა | 5,0 | 2,05 | 2,25 | 1,45 | 1,55 | 1,07 |
| 5029 | ანკონა-ლეჩე | 3,2 | 2,0 | 3,2 | 1,23 | 1,6 | 1,23 |
| 5030 | ბოლონია-მილანი | 4,8 | 2,1 | 2,25 | 1,46 | 1,53 | 1,08 |
| 5031 | იუვენტუსი-კიევო | 1,5 | 3,1 | 7,5 | 1,01 | 1,25 | 2,19 |
| 5032 | ლაციო-სამპდორია | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 5033 | პერუჯა-პარმა | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5034 | უდინეზე-მოდენა | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 5035 | ინტერი-სიენა | 1,6 | 2,9 | 6,5 | 1,03 | 1,28 | 2 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,5 | 17,0 | 35,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5103 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5104 | ჩარლტონი-ბოლტონი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5105 | ფულემი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5106 | ლიდსი-მიდლსბრო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5107 | ლესტერი-ასტონ ვილა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5108 | ლივერპული-ევერტონი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5109 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5110 | ბლექბერნი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5111 | არსენალი-სიტი | 1,5 | 17,0 | 35,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5114 | დორტმუნდი-შალკე | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5115 | ვერდერი-ჰერტა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5116 | შტუტგარტი-ჰანზა | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5117 | აინტრახტი-ბაიერნი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 5118 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5119 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5120 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5121 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5122 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5125 | მილანი-სიენა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,6 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5127 | რეჯინა-ემპოლი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5128 | ბრეშა-რომა | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5129 | ანკონა-ლეჩე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5130 | ბოლონია-მილანი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5131 | იუვენტუსი-კიევო | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5132 | ლაციო-სამპდორია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5133 | პერუჯა-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5134 | უდინეზე-მოდენა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5135 | ინტერი-სიენა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,6 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (31.01)**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,9 |
| არსენალი | 1,9 |
| ჩელსი | 5,0 |

**9002**
**გერმანია (30.01)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,5 |
| ვერდერი | 3,2 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| ლევერკუზენი | 7,0 |

**9003**
**იტალია (31.01)**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,15 |
| რომა | 2,6 |
| იუვენტუსი | 2,6 |

**9004**
**ესპანეთი (31.01)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,35 |
| ვალენსია | 3,4 |
| დეპორტივო | 6,0 |

**9005**
**საფრანგეთი (30.01)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,1 |
| ლიონი | 5,3 |
| პსჟ | 8,0 |

**9006**
**პორტუგალია (31.01)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,08 |
| სპორტინგი | 5,0 |
| ბენფიკა | 15,0 |

**9007**
**ჰოლანდია (28.01)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,4 |
| პსვ | 2,4 |

**9008**
**ავსტრია (21.02)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,35 |
| რაპიდი | 4,0 |
| გრაცერი | 5,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (31.01)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 6,0 |

**9011**
**უკრაინა (15.02)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

## რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,8 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,9 |
| გერმანია | 9,3 |
| საფრანგეთი | 13,6 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| მანჩესტერი | 4,6 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| ჩელსი | 6,0 |
| არსენალი | 6,0 |
| ბაიერნი | 15,0 |
| დეპორტივო | 20,0 |
| შტუტგარტი | 25,0 |
| მონაკო | 25,0 |
| ლიონი | 30,0 |
| პორტუ | 40,0 |
| სოსიედადი | 40,0 |
| სელტა | 50,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| სპარტა | 150,0 |

**9022**
**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8,0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერბირლ. | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,5 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| ბოსტონი | 20,0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| სან ხოსე | 25,0 |
| რეინჯერსი | 25,0 |
| ატლანტა | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ანაჰაიმი | 35,0 |
| მინესოტა | 35,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 75,0 |
| ჩიკაგო | 75,0 |
| ნეშვილი | 75,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| კოლამბუსი | 125,0 |
| პიტსბურგი | 125,0 |
| ვაშინგტონი | 125,0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,65 |
| საკრამენტო | 4,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 12,0 |
| მინესოტა | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 25,0 |
| ფილადელფია | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| პორტლენდი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| სიეტლი | 75,0 |
| იუტა | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| გოლდენ სტ. | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| ფინიქსი | 100,0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ორლანდო | 150,0 |
| მაიამი | 200,0 |
| ატლანტა | 250,0 |
| ვაშინგტონი | 250,0 |
| ჩიკაგო | 250,0 |
| კლივლენდი | 300,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

*გუნდიდან გუნდში გადასვლა ქართულ ჩემპიონატში ლამის ყოველდღიური ამბავია, აი, კლუბებს რომ გაცვლა მოეხდინათ, თანაც შუა სეზონში, ასეთ შემთხვევას კალათბურთში ვერ ვიხსენებთ. შესაძლოა, ამასაც მოვესწროთ — თსუ-სა და „დინამოს“ მეფარეების გაცვლა გადაუწყვეტიათ და დღეს ალბათ ვალერი კილაძის ნაცვლად სტუდენტები დინამოელ ზურაბ ჩუბინიძეს შეიმატებენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ერთი კალათბურთელიც დაემატება — ახლახან „რუსთავიდან“ წამოსული მამუკა აბრამიძე*

# შევქმნათ პრეცედენტი

## თსუ და დინამო გაცვლაზე მორიგდნენ



— აბრამიძის ჩვენთან გადმოსვლა გადაწყვეტილი ამბავია, მცირე ნიუანსებია დასაზუსტებელი და ხვალ ის ალბათ თსუ-ელი გახდება — გვითხრა სტუდენტთა მთავარმა მწვრთნელმა **გია ჯავახიშვილმა**.

— „რუსთავიდან“ წამოსული რევაზ ჩხეიძეც თქვენთან ხომ არ ითამაშებს?

— არა, მაგრამ შესაძლოა, ხვალ დინამოელი ზურაბ ჩუბინიძე შევვემატოს, მის სანაცვლოდ კი ვალერი კილაძე დავთმოთ. იმის შანსიც არსებობს, რომ მხოლოდ კილაძე წავიდეს „დინამოში“.

— დიდი ხანია, კილაძე თსუ-ში თამაშობს და გუნდსაც კარგად მოერგო. მისი „დინამოში“ წასვლა, თუნდაც მის ნაცვლად ზურაბ ჩუბინიძე მიიღოთ, გამართლებულად მიგაჩნიათ?

— არა, მაგრამ სხვა გზა არ არის. მიზეზებს ნუ მკითხავთ, არის საკითხები, რაზეც ჯობს, არ ილაპარაკო. ვფიქრობ, ჩუბინიძე ღირსეულად შეცვლის კილაძეს, ის ხომ ძველი ვითელია, თსუ-ში კი არაერთი ვითელი თამაშობს — ამროსი ორმოცაძე, კახა შენგელია, მამუკა აბრამიძე- ერთი მწვრთნელი მამუკა ტურაშვილიც ყოფილი ვითელია.

— ეს კალათბურთელები საკმაოდ ძლიერები და გამოცდილები არიან და თსუ-ში კიდევ არაერთი მაღალი დონის მოთამაშეა, თუმც ეს შედეგებზე არ აისახება. რაშია საქმე, რატომ ვერ იგებს თსუ?

— ახალი გუნდის შეკვრას დრო სჭირდება. თსუ-მ ბრძოლისუნარიანობა თასის პირველ ეტაპზე დაამტკიცა, და შემდეგ წრეში რომ ვერ გავიდა, ამაში თავისი წვლილი მსაჯებმაც შეიტანეს. ისე არ გამიგოთ, თავს ვიმართლებდე, ჩემი გუნდის თამაშშიც გამოჩნდა ბევრი ხარვეზები, რომელიც, იმედი მაქვს, მალე აღმოიფხვრება.

— მალე პლეი ოფიც დაიწყება, რას უმიზნებს თსუ?

— არ ვამბობ, აუცილებლად ფინალში გავალთო, მაგრამ იოლად არაფერს დავთმობთ. თსუ-ში ისეთი ხალხი თამაშობს, მრავალი ფინალი რომ გამოუვლია, პლეი ოფში ბრძოლის გამოცდილება ყველას საკმარისზე მეტი აქვს. ჩემი გუნდი პლეი ოფში სულ სხვანაირად ათამაშდება, ბევრს გააშწარებს.

— ლეგიონერებით გაძლიერებას ხომ არ აპირებთ?

— არა, დროც აღარ გვაქვს საამისოდ. თანაც მხოლოდ ჩვენ ხომ არ ჩამოვიყვანთ უცხოელს, არავის არ ჩამოუყვანია.

— რატომ, სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ დახურულა, „დინამომ“ ეგებ ჩამოიყვანოს ვინმე...

— არა მგონია. თუ დინამოელები ლეგიონერის ჩამოყვანას აპირებდნენ, კილაძეს ჩვენგან არ წაიყვანდნენ.

**ირაკლი პერტაია**

# თასმა თავისი დრო გაიგო

**საბოლოოდ არა**, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი 1-3 თებერვალს ბათუმში გაიმართება.

თავდაპირველი გადაწყვეტილებით, ბათუმს თასის „ოთხეულისთვის“ 26-28 იანვარს უნდა ემასპინძლა, მაგრამ რუსთავში ნაყოჩაღებმა გუნდებმა ტრავმების, პოლიტიკური არასტაბილურობისა თუ ფინანსური პრობლემების გამო თავი აარიდეს აჭარაში გამგზავრებას. ფედერაციამაც დაუყვავა კლუბებს, ოღონდ გააფრთხილა, აქედანვე იცოდეთ, რომ მეორე ეტაპს უცილობლად ბათუმი უმასპინძლებსო.

გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, მაგრამ არა ბეჭედდასმული. მოგეხსენებათ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას კალათბურთის ფედერაციის გამგეობის შეკრება და მისი დასტური სჭირდება, ამ დღეებში კი სასიქადულო კალათბურთელის ზურაბ საკანდელიძის გარდაცვალების გამო ეს ვერ მოხერხდებოდა.

სავარაუდოდ, გამგეობა პარასკევს შეიკრიბება და თასის მეორე ეტაპის გამართვის თარიღად 1-3 თებერვალს გამოაცხადებს, თუმც, როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ვადის გადაწევაც არ გამოირიცხება.

### საქართველოს თასის II ეტაპი. ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 1 მარტი, ორშაბათი | | |
| დინამო — რუსთავი | 14.30 | |
| ბასკო — სტუ-ჯეოსელი | 17.00 | |
| 2 მარტი, სამშაბათი | | |
| დინამო — სტუ-ჯეოსელი | 14.30 | |
| ბასკო — რუსთავი | 17.00 | |
| 3 მარტი, ოთხშაბათი | | |
| რუსთავი — სტუ-ჯეოსელი | 14.30 | |
| ბასკო — დინამო | 17.00 | |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნოვიცკიმ განაახლა

## სიეტლმა თავის გულშემატკივრებს გული ატკინა

27 იანვარი

**სიეტლი 116:118 დალასი**
სიეტლი: ლუისი (30), დანიელსი (21), ალენი (20)
დალასი: ნოვიცკი (43), ნეში (19), უოლკერი (17), ფინლი (17)

**ფილადელფია 76:94 ნიუ ჯერსი**
ფილადელფია: გრირი (20)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (30)

**ატლანტა 85:89 ფინიქსი**
ატლანტა: ჯექსონი (19), აბდურ-რაჰიმი (16 ქულა, 13 მოხსნა), რეთლიფი (16 ქულა, 12 მოხსნა)
ფინიქსი: მერიონი (22), ჯონსონი (20)

**ნიუ იორკი 67:77 სან ანტონიო**
ნიუ იორკი: მარბერი (18)
სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 19 მოხსნა)

**კლიპერსი 102:92 ჩიკაგო**
კლიპერსი: მეჯიტი (28), ბრენდი (20 ქულა, 11 მოხსნა), რიჩარდსონი (18)
ჩიკაგო: რობინსონი (17)

სიეტლის „ქი არენის“ ცენტრალური ტრიბუნის თავზე ლოზუნგია გამოფენილი — „ჩვენ აქ ვართ, რათა გამარჯვებაში დაგეხმაროთ“. სიეტლელი ქომაგი მართლაც დაეხმარა „სუპერსონიქსს“, როცა „დალასთან“ მატჩის უკანასკნელ წუთზე ტეხასელთა ლიდერ დირკ ნოვიცკის ისე უღრიალა, რომ ამან ორივე ააცილა. დანარჩენი თავად სიეტლელ კალათბურთელებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ...

„ქი არენამ“ გუშინწინ ზედაძაბულ მატჩს უმასპინძლა. ამ ბოლო დროს მარცხებაკრეფილი, თუმც უკვე ძველებური რიხით ათამაშებული „დალასი“ დასავლეთის საშუალო და პლეი ოფისთვის დამაშვრალ „სიეტლს“ ესტუმრა და დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა.

დირკ ნოვიცკისთვის ეს მატჩი ისტორიული გამოდგა, რაკი ქერა გერმანელმა გოლიათმა კარიერაში უმეტესი 43 ქულა მოაქუჩა. რა საკამათოა, რომ გერმანელს ლომის წილი მიუძღვის გამარჯვებაში, მაგრამ ნურც ანტუან უოლკერი დაგვავიწყდება, რომელმაც სირენის თანხლებით ჩაუგდო სიეტლელებს და ლამის ოვერტაიმში გადასული მატჩი შემოატრიალა. ამიტომაც მატჩის გმირი უოლკერია, ნოვიცკის კი გაუმართლა, თორემ 43 ქულის მიმთვლელი, ეგებ ანტიგმირადაც კი გამოცხადებულიყო.

მთელი თამაში დაუზოგავი ბრძოლა მიდიოდა, ხან „დალასი“ გაიჭრებოდა წინ, ხანაც „სიეტლი“. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ უკანასკნელი წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა — ტეხასელმა სტივ ნეშმა ურთულესი პოზიციიდან ჩააგდო სამქულიანი და სირენამდე 35 წამით ადრე გააყაიმა. რაშარდ ლუისს ჩინებული შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ფარქვეშ გერმანელის პირისპირ დარჩენილმა აცილება ხომ „მოახერხა“ და მოსახსნელად ამხტარ ნოვიცკიზეც დაჯარიმდა.

აი, იმ ეპიზოდსაც მივადექით, სუპერმექულემ თავის 43-ქულიან მონაგარს ვერფერი რომ ვერ შემატა საჯარიმო ხაზიდან და უკანასკნელი შეტევის უფლებაც სიეტლელებს დარჩათ. გამოცდილმა რეი ალენმაც ბოლომდე გაწელა დრო, მაგრამ დიდი იაღლიში მოუვიდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ გადამწყვეტი სროლა გააცუდა. მან კარგად ვერ გათვალა და უხეირო სროლის შემდეგ მეტოქეს წამნახევარი დაუტოვა შესატევად.

უოლკერმა ალენის აცილებული მოიხელთა თუ არა, წუთშესვენება ითხოვა, „დალასმაც“ მცირე თათბირის შემდეგ ცენტრიდან შემოიტანა ბურთი. დიდ-პატარა ნოვიცკის დარაჯობდა, რომლისთვისაც თურმე სატყუარას როლი მიეცა ტეხასელთა მწვრთნელ დონ ნელსონს და გადამწყვეტი ბურთის სროლა უოლკერისთვის მიენდო.

„ვცდილობდი, თავი გამეთავისუფლებინა და მოედნის კუთხისკენ გავიქეცი. ფინლიმ დიდებული პასი მომცა, მეც ჰაერში დავტრიალდი და დაუმიზნებლად ვესროლე“ — იხსენებს უოლკერი. სირენა იყო და ბურთი სიეტლელთა კალათში ჩაეშვა, უოლკერმა კი რომელიღაც აფრიკული ტომის ცეკვა ზედ მოედანზე გააჩაღა.

მთლად ცეკვა არ გაუჩაღებია, მაგრამ ძალიან გაიხარა „ნიუ ჯერსის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, გაგდებული ბაირონ სკოტის ნაასისტენტარმა ლოურენს ფრენკმა. მან სადებიუტო მატჩშივე იძალა ფილადელფიაში, რის შემდეგაც თქვა — „გამარჯვება დიდებულია, მაგრამ ეს მთლიანად გუნდის დამსახურებაა და არა ვინმესი კონკრეტულად. ეს პირველი ნაბიჯი იყო, ჩვენ სულ წინ უნდა ვიაროთ და „ნეთსს“ რომ შეშვენის, ისეთი კალათბურთი ვითამაშოთ.“

ისე, ფილადელფიაში გამარჯვებას დიდი თავგანწირვა არ სჭირდებოდა, „სიქსერზს“ შინ ბოლო სამი მატჩი წაეგო, მათ ჭინკა ქურუმს ალენ აივერსონს კი თითი სტკიოდა. ნიუჯერსელებსაც არაფერი გასჭირვებიათ, რიჩარდ ჯეფერსონის წინამძღოლობით იოლად გაუსწორდნენ დამხდურებს. აივერსონის გარდა, „სიქსერზს“ დერიკ კოულმენიც აკლდა, ხოლო კიდევ ერთი მარჯვე კაცი გლენ რობინსონი მწვრთნელ რენდი აიერსს აუთვალწუნებია და „დიდი ძალლიც“ გულმოსული ლაპარაკობდა — „ამ ბოლო ხანებში აიერსი ძალიან ცოტას მათამაშებს, რასაც, ჩემი აზრით, არ ვიმსახურებ. მოედანზე არაფერს ვაფუჭებ, ბოლო მატჩებში თავიც კი გამოვიჩინე, მაგრამ ძირითადად მაინც სკამზე ვზივარ. რა შუაშია, ვაგებთ თუ ვიგებთ, როცა ხეირის მოტანა შემიძლია, სკამზე არ უნდა ვიჯდე“.



დირკ ნოვიცკიმ „სიეტლს“ 43 ქულა უთავაზა

ჯერჯერობით ახალია და არავინ ემდურის „ფინიქსის“ თავკაც მაიკ დანტონის, რომელმაც ატლანტაში „ქორები“ დაიფრინა. „ფინიქსმა“ მწვრთნელის გამოცვლით იმიჯი ვერ გამოიცვალა, მაგრამ ალაგ-ალაგ გამარჯვებებსაც კრეფს. დანტონის გუნდი აგებდა მანამ, სანამ მესამე მეოთხედში შონ მერიონმა თავი არ გამოიდო და ფინიქსელები საბოლოოდ არ დააწინაურა.

**ირაკლი პერტაია**

### საქართველოს ჩემპიონატი მესამე წრე

| | |
|---|---|
| 3 თებერვალი, სამშაბათი | |
| სტუ-ჯეოსელი — ქუთაისი | 15.00 |
| დინამო — მაკაბი | 17.00 |
| ბასკო — სსუ | 17.00 |
| 4 თებერვალი, ოთხშაბათი | |
| მაკაბი — ქუთაისი | 15.00 |
| თსუ — რუსთავი | 17.00 |
| 8 თებერვალი, კვირა | |
| რუსთავი — ბასკო | 17.00 |
| 9 თებერვალი, ორშაბათი | |
| მაკაბი — ბასკო | 15.00 |
| თსუ — ქუთაისი | 17.00 |
| 10 თებერვალი, სამშაბათი | |
| თსუ — დინამო | 15.00 |
| სსუ — სტუ-ჯეოსელი | 17.00 |
| რუსთავი — ქუთაისი | 17.00 |
| 14 თებერვალი, შაბათი | |
| დინამო — რუსთავი | 15.00 |
| სსუ — მაკაბი | 17.00 |
| 15 თებერვალი, კვირა | |
| თსუ — ტსუ-ჯეოსელი | 15.00 |
| 20 თებერვალი, პარასკევი | |
| ბასკო — თსუ | 17.00 |
| 21 თებერვალი, შაბათი | |
| სსუ — დინამო | 15.00 |
| 22 თებერვალი, კვირა | |
| სტუ-ჯეოსელი — დინამო | 15.00 |
| რუსთავი — სსუ | 17.00 |
| 25 თებერვალი, ოთხშაბათი | |
| ქუთაისი — ბასკო | 15.00 |
| სტუ-ჯეოსელი — მაკაბი | 17.00 |
| 26 თებერვალი, ხუთშაბათი | |
| დინამო — ბასკო | 15.00 |
| თსუ — მაკაბი | 17.00 |
| 27 თებერვალი, პარასკევი | |
| სტუ-ჯეოსელი — რუსთავი | 15.00 |
| სსუ — ქუთაისი | 17.00 |
| 5 მარტი, პარასკევი | |
| დინამო — ქუთაისი | 15.00 |
| თსუ -- სსუ | 17.00 |
| ბასკო — სტუ-ჯეოსელი | 17.00 |
| 7 მარტი, კვირა | |
| რუსთავი — მაკაბი | 17.00 |

## ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

# თუკი კოჭმა არ გამკოჭა...

## კლაისტერსი ფეხშეუხებლობის სრულ გარანტიას ითხოვს



REUTERS მელბურნიდან

დავიდ ნალბანდიანი: თავს ზევით ძალა არაა!



REUTERS მელბურნიდან

კიმ კლაისტერსს პრობლემები ქვემოთ აქვს

### მეოთხედფინალი

**კაცები**

**როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 7:5, 6:4, 5:7, 6:3; ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:1, 7:6 (8:6), 7:6 (7:5)**

**ქალები**

**კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — ანასტასია მისკინა (6, რუსეთი) 6:2, 7:6 (11:9); პატი შნიდერი (22, შვეიცარია) — ლიზა რეიმონდი (25, აშშ) 7:6 (7:2), 6:3**

როჯერ ფედერერმა გუშინ არა მარტო დავიდ ნალბანდიანს სძლია, არამედ თავის სლემბედისწერასაც. ეს ოთხსეტიანი გამარჯვება იყო მისი პირველი სლემმოგება ღონიერ არმენოარგენტინელთან, ვინაც მას შარშან მელბურნის მეოთხე წრეშიც აჯობა და აშშ-ის ღია პირველობის სამეოთხედფინალო საგზურისთვის ბრძოლაშიც. ხოლო, თუ უფრო მეტიც გაინტერესებთ, მათი აქამომდელი ექვსი შეხლიდან პირველი ხუთი სწორედ ნალბანდიანის მოგებით დასრულებულა.

მათი გუშინდელი შეხლის მოკლე რეზიუმედ კი დაახლოებით იმავის გამეორება მოგვიწევს, რაიც მარატ საფინისა და ენდი როდიკის ნამატჩევს ვთქვით.

ნალბანდიანი მძლავრი მეჩოგნეა, დარტყმათა თითქმის სრულ არსენალს მოიძევს, კარგად აწვდის და არც უჯიგრობა დაებრალება, მაგრამ ფედერერს აქვს ყველაფერი, რაც აქვს მას და აქვს ისეთი რალაცებიც, რას მას არა აქვს. შვეიცარიელი ბარაქიანად აწვდის, ორივე მხრიდან საუცხოოდ აყუმბარებს, ბადესთანაც ჩაუქადაა, შემოვლებულ-ჩახუჭუჭულებსაც დროულად მიმართავს და საერთოდაც — აქილევსზე უფრო მოუწყვლელი ჩანს.

ნახევარფინალში მას ხუან კარლოს ფერეროსთან რკენა მოუწევს და არც ეს მატჩი იქნება მხოლოდ ფინალისთვის ბრძოლა. მას შემდეგ, რაც ენდი როდიკს მარატ საფინის ურო მოხვდა, ფსონზე უკვე ამქრის პირველოსნობაცაა. თუკი ფედერერი ფერეროს მოუგებს, უმალ რეიტინგსიის სათავემდე აღზევდება და 1973 წლის შემდეგ ანუ სარეიტინგო სისტემის შემოღებიდან დღემდე ამის მიმღწევი 23-ე მეჩოგნე გახდება.

უსტაბაშობის დაბრუნებას კი ფერერო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი ფედერერის მძლეველი ფინალში საფინ-აგასის შორის უმჯობესს ველარ მოერევა. თუკი ის ფინალს წააგებს, მაშინ პირველოსნობას ფედერერი ირგუნებს.

ისე კი გეტყვით, რომ ესპანელი და შვეიცარიელი ერთმანეთს აქამდე 6-ჯერ დაჯახებიან და ანგარიში ჯერ-ჯერობით საფრეოა. თუმცა არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უპირატესობა მაინც ფედერერის მხარეზეა — მან 2002-ში ფეროროს შანხაურ მასტერსთასზე აჯობა, შარშან კი — რომაულ მასტერსსა და ჰიუსტონურ მასტერსთასზე. მაშინ როცა კოლომბიჭის პირველი ორი გამარჯვება 2000 წელზე მოდის და მხოლოდ ერთი, მადრიდულ ნახევარფინალში ძლევა — შარშანდელზე.

მელბურნში ფერეროს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა და ჩოგბურთზე მწერლები უწინარესად აგასიზე, როდიკსა ან ფედერერზე წერას არჩევდნენ. მაგრამ შარშანდელი როლან გაროსის ჩემპიონმა მეტოქეებსაც სძლია, მიკროტრავმებსაც და ახლა ერთი თამაშიღა აშორებს იმისგან, რათა ბოლო ოთხ სლემტურნირზე უკვე მესამედ გავიდეს ფინალში.

დახვეწილ და მოწესრიგებულ ჰიშამ არაზისთან თამაში მას გუშინ საკმაოდ გაუჭირდა და ბოლო სეტები ერთგვარად ჩიქორთულადაც ჩაიჩოგნავა, მაგრამ მისი კლასობრივი აღმატებულება შეუიარაღებელი თვალითაც აშკარა იყო მის საბოლოო გამარჯვებაშიც და, ამდენად, ეჭვი არავის შეჰპარვია.

რა მოხდება ნახევარფინალში, არავინ იცის, თუმცა ფედერერის მძლეველი ახლა მხოლოდ... თავად ფედერერი თუ იქნება.

სხვაფრივ — შარშანდელი მეოთხედფინალის რემატჩში კიმ კლაისტერსმა ისევ მოუგო რუს ანასტასია მისკინას. ეს იმის მიუხედავად, რომ მარცხენა კოჭი მას ყოველი მოწოდების დროს აწუხებდა, ხოლო ერთხელაც, მეორე სეტში, როცა მისკინა 4:0 უგებდა, მის გადასახვევად კორტზე აქიმბაშსაც გამოუხმო.

ეს კოჭი კლაისტერსმა სამი კვირის წინ ჰოპმანის თასზე იტკინა. სწორედ ამ ტრავმის გამო იყო, წინასამელბურნო მიმოხილვებში კიმის შანსები ოდნავ დაკნინებულად რომ ფასდებოდა. და, მართალია, კოჭს მთელი ოთხი მატჩის განმავლობაში მისთვის თავი არ შეუხსენებია, ჩანს, ხიფათს ჯერაც არ ჩაუვლია.

ჰოდა, სანამ არ დამარწმუნებენ, რომ ტრავმა არ გამირთულდება, ნახევარფინალს არ ვითამაშებო, აი, ასე ლაპარაკობდა კიმი გუშინ.

მისკინა კი ბითურად გაშვებულ მეორე სეტს მისტიროდა — ეგ მატჩი დაწყებამდე უკვე წაგებული მქონდაო.

ჟუსტინ ენენთან მესამე სლემფინალის საბუღრაოდ კი კლაისტერსს ახლა — კოჭი იქით იყოს — კარიერის პირველ სლემნახევარფინალში მოხვედრილ პატი შნიდერთან გადავება მოუწევს.

შნიდერი უკვე ცხრა წელია, მარაქაში ირევა, მაგრამ მთავარსათაურებში აღზევების უფლება ეგრეც ვერაფრით დაუმსახურებია.

ვინუს უილიამსის გამგდებმა ლიზა რეიმონდმა გუშინ მის წინააღმდეგ პასიური, გადააგდე-გადმოაგდე თამაში არჩია, მაგრამ ბოლომდე ვერც ეს გაიტანა და ზედაც უამრავი მიქარვა დაურთო.

რაღა ბევრი შევაყოლოთ, პირველ-მეოროსან ქალმეჩოგნეებს სანახევარფინალებოდ მათზე დასტურ სუსტი მეტოქეები ერგოთ და რამე სისულელე თუ არ მოხდა, შარშანდელი როლანგაროსული და ფლეშინგმედოუზური ფინალების შემდეგ ისინი ახლა ავსტრალიურ სლემფინალსაც დააგემოვნებენ.

**ლევან ძელაურაძე**



# განა შერჩებოდა?!



ცნობილი მექრთამე კიმ უნ იონი ბოლო-ბოლო ჩავარდა

**ბოლოს** და ბოლოს დააპატიმრეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, სამხრეთკორეელი კიმ უნ იონი.

მის თავზე შავი ღრუბლები მრავალი წელი ტრიალებს. ამ კორეელის სახელს ხან ერთ სკანდალთან დაკავშირებით იხსენებდნენ, ხან მეორესთან და ათასგვარ კორუფციასა თუ მაქინაციაში ადანაშაულებენ, მათ შორის სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ აღებ-მიცემობაში.

გასული საუკუნის ბოლოს სოკ-ში გამეფებული კორუფციის მხილების შემდეგ ბევრი მისი წევრი გადადგა ან გადააყენეს. კიმ უნ იონი კი მაგრად იდგა და ძვრაც ვერავინ უყო. მეტიც, ეს კაცი 2001 წლის სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე არჩევნებში სხვა ოთხ პრეტენდენტთან ერთად ჩაება და ხმათა უმრავლესობით მას მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ბელგიელმა ჟაკ როგმა აჯობა.

მაშინ ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ თითქოსდა კორეელმა განაცხადა, პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემთხვევაში სოკ-ის ყველა წევრი თავისი ფუნქციების შესრულებისთვის მიიღებს 50 ათას ამერიკულ დოლარსო. არჩევნებში სწორედ ამ ფაქტმა დალუპა კიმ უნ იონი, რადგან ეს დღისით მზისით ქრთამის შეთავაზებად აღიქვეს. ეს მან ზედ კენჭისყრის წინ იგრძნო, რის გამოც ფერი დაეკარგა და მოღუშული იბღვირებოდა.

ასე იყო თუ ისე, კიმ უნ იონს მხოლოდ ჟაკ როგმა აჯობა და თავად სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის სავარძელი შეხვდა.

და აი, ახალი სკანდალი. კიმ უნ იონი თავის სამშობლოში, როგორც ბი-ბი-სი იუწყება, კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს. მას ბრალად ედება 400 000 ამერიკულ დოლარზე მეტი ქრთამის აღება იმ ბიზნესმენთაგან, რომელთაც კიმ უნ იონი დაეხმარა სამხრეთ კორეის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ადგილების მოპოვებაში.

პროკურორებმა უკვე დაკითხეს ეჭვმიტანილი. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შესაბამისი განცხადებაც გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ სოკ-ის საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი კიმისთვის სოკ-ის წევრობიდან გამომდინარე ბოძებული ყველა უფლების, პრივილეგიისა და ვალდებულებების ჩამოსართმევად წამოყენებულ წინადადებას იმ დრომდე, მანამ არ დამთავრდება გამოძიება და სანამ სოკ-ის ეთიკის კომისია არ შეისწავლის ამ ინციდენტს.

კიმ უნ იონის წარმომადგენლები ამასთან დაკავშირებით ამბობენ, სოკ-ის გადაწყვეტილება უსამართლოა და იგი ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმპციას, რომელიც მთელს ცივილიზებულ სამყაროში მოქმედებსო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



კიმ უნ იონი არც სამშობლოში უყვართ



წელს რევაზ ჭანტურია უკრაინელებისთვის გაიტანს

# რევაზ ჭანტურია ზაპოროჟიეში ჩაჯდა

სასიამოვნო ამბავი წყალწაღებულ ქართულ ხელბურთში: ჩვენი ქვეყნის უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენის" 21 წლის ფორვარდი რევაზ ჭანტურია უკრაინის საუკეთესო კლუბში, ზაპოროჟიეს „ZTR"-ში გადავიდა.

ეს ტრანსფერი იმითაა აღსანიშნავი, რომ უკრაინაში ხელბურთის ამჟამინდელი დონე ჩვენსას ბევრად აღემატება — იმათი ნაკრები უპრობლემოდ გადის მსოფლიოს და ევროპირველობებზე, ხოლო „ZTR" რეგულარულად ასპარეზობს ევროპის ჩემპიონთა ლიგაში.

„რეაქტიული" ქართველი ცაცია ზაპოროჟიელთა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრ რეზანოვმა თურქეთში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში თამაშისას ნახა. ჭანტურიამ ოთხგუნდა ტურნირის ორ მატჩში (მესამე ტრავმის გამო არ უთამაშია) ჩეხებთან და თურქებთან 15 გოლი გაიტანა და გამოცდილი მწვრთნელის არჩევანიც ამან განაპირობა.ცოტა ხნის წინ იგი ზაპოროჟიეში გასინჯვაზე მიიწვიეს, თუმც დიდი ხნის შემოწმება არ დასჭირდა, პირველივე სასინჯი თამაშის შემდეგ, რომელშიც ჭანტურია თავიდან ბოლომდე უცვლელად იყო მოედანზე და სამი ბურთიც შეაგდო, კონტრაქტი გაფორმდა. ეგაა, ჯერჯერობით ნახევარი სეზონით, ანუ მაისის ბოლოს უკრაინის ჩემპიონატის გასრულებამდე.

„ZTR" — მსოფლიოში ცნობილ და შეძლებულ ფირმა „ზაპოროჟტრანსფორმატორის" გუნდი, უკრაინის შვიდგზის ჩემპიონია. წლეულსაც იასპარეზა ჩემპიონთა ლიგაში და მართალია, ბობოლა გერმანულ და ესპანურ კლუბებთან ჭიდილში საპლეიოფო საგზური ვერ მოიპოვა, მაგრამ ჯგუფში მესამე ადგილზე გასვლით აგრძელებს ბრძოლას ევროპის თასების თასის გათამაშებაში. ამასთან „ZTR"-ის შვიდი წევრი იცავდა უკრაინის ნაკრების ღირსებას სლოვენიაში ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში.

უკრაინის პირველობაში ახლა შესვენებაა, მეორე წრე თებერვლის პირველ რიცხვებში დაიწყება. ჭანტურიას ახალი კლუბი გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს.

## ევროპის VI ჩემპიონატი. ვაჟები

სლოვენია. 22 იანვარი-1 თებერვალი

**პირველი ჯგუფი**

რუსეთი 36:30 ესპანეთი
ხორვატია 30:27 შვეიცარია
დანია 34:28 შვედეთი

**მეორე ჯგუფი**

ჩეხეთი 32:31 საფრანგეთი
უნგრეთი 29:29 სერბეთი
გერმანია 31:24 სლოვენია

**პირველი ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 4 | 0 | 0 | 114:107 | 8 |
| დანია | 3 | 0 | 1 | 119:105 | 6 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 | 125:113 | 6 |
| შვედეთი | 1 | 0 | 3 | 116:116 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 3 | 105:114 | 2 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 4 | 95:119 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 123:108 | 5 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 112:102 | 5 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 117:113 | 5 |
| უნგრეთი | 1 | 2 | 1 | 109:112 | 4 |
| სერბეთი | 1 | 1 | 2 | 97:105 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 3 | 117:135 | 2 |



რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიბი შუაზე გაჭრეს

27 იანვარი

**ვანკუვერი 3:2 ჩიკაგო**
*0:0 2:1 1:1*
0:1 ბელი (22), 1:1 არვედსონი (24), 2:1 ბერტუცი (40), 3:1 არვედსონი (46), 3:2 კოლდერი (54)

„ლეიბების ხაზზე" ექსპერიმენტები გრძელდება. „ვანკუვერის" თავკაცებმა ტყუპ სედინებს ამას წინათ ჯეისონ კინგი დააცილეს, ახლა კი ძმებიც სხვადასხვა სამეულში გაამწესეს. ექსპერიმენტმა გაამართლა, დანიელ სედონმა ორჯერ მაგნუს არვედსონს გაატანინა, ხოლო მასზე 15 წუთით უფროსმა ჰენრიკმა ტოდ ბერტუცის.

**კოლორადო 3:1 ედმონტონი**
*0:1 1:0 2:0*
0:1 დვორჟაკი (11), 1:1 ფორსბერგი (32), 2:1 ფორსბერგი (47), 3:1 კონოვალჩუკი (59)

ლიგაში ყველაზე დიდი ხელფასი 11 მილიონი დოლარი ორ ჰოკეისტს აქვს — იარომირ იაგრის და პეტერ ფორსბერგს. პირველი ესესაა „რეინჯერსში" გადავიდა და, ღმერთმა ხელი მოუმართოს ახალ გუნდში, მაგრამ სანამ „ვაშინგტონში" იყო, ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად არ კრეფდა. აი, ფორსბერგზე კი ამის სათქმელად არავის მოუბრუნდება ენა. კოლორადოელი ესოდენ დიდ ფულს სავსებით დამსახურებულად იღებს.

შვედს ეს-ესაა მოურჩა ხელმეორედ გართულებული ტრავა, მაგრამ ეს მის თამაშს სულაც არ დასტყობია. მეტიც, ფორსბერგმა თითქოს მოუმატა კიდეც და გოლებსაც მოუხშირა. „ედმონტონთან" მატჩში მან ზედიზედ მეორე დუბლი მიითვალა. აღსანიშნავია, რომ მესამე პერიოდის დასაწყისში პეტერს შაიბა მოხვდა სახეში, მაგრამ უმალვე დაბრუნდა და საუცხოო გოლი გაიტანა. „რაიან სმიტი შეჩერდა და მას იოლად გავცდი. ეტყობა, ეგონა, რომ პასს გავაკეთებდი და მე უბრალოდ, ვისარგებლე ამით" — ახსნა ნამატჩევს პეტერმა, მაგრამ ის, რასაც იგი უბრალოდ მიიჩნევს, პარტნიორებსა და მეტოქეებს ერთნაირად ანცვიფრებს. „ის ყველაფერს გვიადვილებს. წარმოუდგენელია, როგორ ახერხებს, რომ ერთსა და იმავე მომენტში შაიბასაც აკონტროლებს და მოედანსაც ჩინებულად ხედავს" — თქვა კოლორადოელმა სტივ კონოვალჩუკმა და მას ედმონტონელი კორი კრონიც დაეთანხმა — „იგი ალბათ საუკეთესოა ლიგაში. მისი გუნდი აშკარად არ აჩვენებს საუკეთესო თამაშს, მაგრამ ფორსბერგი მაინც აგებინებს მატჩებს."

**კოლუმბუსი 3:4 ნიუ ჯერსი**
*0:3 1:0 2:1*
0:1 მარშალი (12), 0:2 ელიაში (13), 0:3 ბრილინი (15), 1:3 ნეში (25), 2:3 რაიტი (58), 2:4 ჯიონტა (59), 3:4 მორანი (60)

კოლუმბუსელი რიკ ნეში 30-გოლიან ზღვართან გაჩერებას არ აპირებს. აი, ახლაც გაიტანა და მეოთხე ათეულს შეუდგა.

**პიტსბურგი 2:6 ტამპა**
*1:0 1:2 0:4*
1:0 ტარნსტრიომი (17), 1:1 კუბინა (21), 1:2 კუბინა (22), 2:2 მელიხარი (36), 2:3 სტილმანი (47), 2:4 მოდინი (50), 2:5 სან ლუი (57), 2:6 სტილმანი

ერთ მატჩში ორი ბულიტი დიდი იშვიათობაა, მათი გამოყენება კი — ძნელზე ძნელი. ეს ამ მატჩმაც ცხადყო, როცა შანსი ვერც ტამპელმა დან ბოილმა გამოიყენა და ვერც ბრაიან ჰოლცინგერმა, თუმც პირველს სამმა პასმა და გუნდის მოგებამ გუნება გამოუკეთა.

ორი ბულიტი ბოლოს 2001 წელს დაინიშნა „მინესოტასა" და „ლოს ანჯელესის" შეხვედრაში.

**ბუფალო 4:1 მონრეალი**
*0:0 1:1 3:0*
0:1 კოივუ (28), 1:1 ჟიტნიკი (34), 2:1 აფინოგენოვი (48), 3:1 კოტალიკი (55), 4:1 დრური (58)

**აილენდერსი 2:2 ბოსტონი**
*2:1 0:0 0:1 0:0*
1:0 ჰანტერი (6), 1:1 მიურეი (9), 2:1 ჰანტერი (18), 2:2 აქსელსონი (59)

**ტორონტო 0:2 კაროლინა**
*0:0 0:1 0:1*
0:1 კოული (29), 0:2 ვასიჩეკი (57)

**ფინიქსი 1:2 კალგარი**
*1:0 0:1 0:1*
1:0 ლენგკოუ (13), 1:1 იგინლა (39), 1:2 დონოვანი (58)

ამ მატჩში მხოლოდ ერთი ბულიტი დაინიშნა და კალგარელმა დონოვანმა იგი ჩინებულად შეასრულა. „ალების" ფორვარდმა სეხნია მეკარე შონ ბურკს ეშმაკურად გაუძვრინა შაიბა ფეხებში. სხვათა შორის, ეს დონოვანის მეორე იღბლიანი ბულიტია ამ სეზონში, საერთოდ კი 16 გოლი დაუგროვდა. მანამდე დონოვანის პერსონალური რეკორდი 13 გოლი გახლდათ.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ჩიკაგოელი კრეიგ ანდერსონის კარი ორიოდ სანტიმეტრზე გადარჩა. ეს შაიბა არ გასულა



# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 28 იანვარი

**A ჯგუფი**

ბარსელონა 92:72 ოლიმპია
პო ორტეზი 68:78 აეკ
ციბონა 92:69 პარტიზანი
რომა 53:69 ულძერი

**B ჯგუფი**

ცსკა 75:68 პანათინაიკოსი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



დიმიტრიოს პაპანიკოლაუ და მის „პანათინაიკოსი" ცსკა-მ ლამისააყვირა

# რეკორდის კაცი

„ფინიქს კოიოტსის“ მეკარეს, ბრაიან ბუჩერს ახლა ყველა აქებს: მან ხომ ზედიზედ ხუთი თამაში და კიდევ 32 წუთი გოლის გაუშვებლად გაატარა კარში. ამ ზერეკორდთ ამბავს მეკარეს დიადი ვინმე, უეინ გრეცკიც ულოცავს. თუმცა, ამ მილოცვის დღეს ბუჩერი კარში არ იდგა და კოიოტებმა 1:2 წააგეს „კალგარ ფლეიმზთან“.

REUTERS ფინიქსიდან



REUTERS ჰიუსტონიდან



# სუპერბოულის წინ

ჰიუსტონის „რელიანტ სტედიუმი“ ამერიკული ბურთაობის დიდი ფინალის, XXXVIII სუპერბოულის მასპინძლობისთვის ემზადება. „რელიანტი“ დახურული სტადიონია, თავად თამაში კი, რომელსაც მთელი ამერიკა უყურებს ხოლმე, 1 თებერვალს გაიმართება.

REUTERS ჰიუსტონიდან



# ჩიგირის ჩაუქრობა

რიო დე ჟანეიროში წყალბურთელები კვლავაც იბრძვიან ათენის ოლიმპიადის საგზურისათვის. გერმანელთა და რუმინელთა მატჩში ფრე გამოვიდა, 2:2. ამაში კი არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის გერმანელთა ნარუსალ მეკარეს ალექსანდრ ჩიგირს, ვანც მრავალი ბურთი აუღო მეტოქეებს.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან



REUTERS ათენიდან



# პალესტინელი

რაად ავასათი იმ იშვიათ პალესტინელთაგანია, ათენის ოლიმპიადაში რომ ჩაებმება. 16 წლის მოცურავე, რა თქმა უნდა, მეტად მოძველებულ პირობებში ვარჯიშობს და იმის ილუზიაც არა აქვს, რომ მედლებისთვის იბრძოლებს, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ მონაწილეობს. ეს კი ძველი ოლიმპიური პრინციპია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge